# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 28 სექტემბერი 1993 № 17 (64) ფასი 145 კუპონი

**2** „დინამომ" ისევ მოიგო
ჩემპიონატი კი შეწყდა

**3** ყიზილაშვილი კვიპროსელთა ფავორიტი
გოგრიჭიანიც მის გვერდითაა

**4** აფრიკელი ფინალისტები
ორ კვირაში გამოვლინდებიან

**5** სულთანს ფული არა აქვს
ფიდეს გეგმები ჩაეშალა?

**7** ოცნებათა ნავსაყუდელი
სიდნეის გამარჯვების ექო

**8** მორიგი „ვითბრედი"
ამჯერად უფაზისოდ

**8** რაიდერის თასი
ამერიკელმა მეგოლფეებმა შეუძლებელი შეიძლეს

# ომი და ნგრევაა ჩვენს ქვეყანაში

უჭირს ყველას.
მსოფლიოში კი სპორტული ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.
ამიტომაც კიდევ გამოვეცით „სარბიელი".
ვინძლო ამ გაჭირვების ჟამს წამკითხველს ხვედრი ოდნავ შეუმსუბუქოს!

## ალენ პროსტის მეოთხე ტრიუმფი!

ფორმულა-1-ის „პროფესორი" ფრანგი ალენ პროსტი გუშინწინ მეოთხედ გახდა.ჩემპიონი, რაშიც ლომის წილი „უილიამსის" მანქანამაც დაიდო. ახლა გულდამშვიდებული პროსტი „უილიამსსაც" გამოეთხოვება და ავტორბოლასაც





დეკემბრის პირველ უქმეებში გერმანიაში

## დევისის თასის ფინალი

გაიმართება, რომლის მონაწილენი შაბათს გამოვლინდნენ. გერმანელებს მიხაელ შტიხი უწინამძღოლებს, ავსტრალიელებს — უელი მაზური





„სარბიელი" შემდეგი ნომრიდან დაბეჭდავს დიდოსტატ გენადი სოსონკოს მოგონებებს მსოფლიოს მერვე ჩემპიონის, რიგელი

## მიხეილ ტალის

შესახებ. მემუარები ტალის პირად ცხოვრებაში გაგვარკვევს. ნაშრომი უცხოური პრესიდან თენგიზ გიორგაძემ გვითარგმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «დინამო» ასეც იგებს და ისეც

24 სექტემბერს განახლდა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ომის გამო დროებით შეწყვეტილი იყო. დინამოელები ამ დღეს თერჯოლაში „საპოვნელასთან“ ძმები არველაძეების, ჩინჩლაძის, შელიას, ზოიძის, ჩხეიძის, ინალიშვილისა და რევიშვილის გარეშე გაემგზავრნენ. ახალგაზრდა დინამოელებმა [illegible] არ გაიტეხეს და ანჩაბაძისა და კიკნაძის აქტიური თამაშის [illegible] მოიგეს კიდეც მატჩი. ამ უკანასკნელის მოცელვისთვის დანიშნული პენალტი ანჩაბაძემ ზუსტად გამოიყენა და სამი ქულა მოუტანა გუნდს. კარგად ითამაშა გვარამაძემაც, რომელმაც „უბიწოდ“ შეინახა კარი.

თბილისის „მცირე დერბი“ „შევარდენის“ გამარჯვებით დამთავრდა. ერთადერთი [illegible] მატჩის მიწურულისთვის [illegible] ფანცულაიამ, რომელმაც „მრეტების“ დაცვის შეცდომით ისარგებლა. ამ მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე უნდა ყოფილიყო, რადგან მეტოქეებმა დუნე, უინტერესო ფეხბურთი ითამაშეს. მხოლოდ შევარდნელი გოგიჩაიშვილი გამოირჩეოდა. მატჩის დამთავრებამდე ათი წამით ადრე შევარდე[illegible]ოფილმა მრეტმა გელაძემ მეკარესთან პირისპირ გასულმა ისეთი მომენტი ვერ გამოიყენა, რომ ბურთის მეკარისთვის მორტყმა (რაც მან გააკეთა) უფრო ძნელი იყო, ვიდრე დანარჩენ თოთხმეტ კვადრატულ მეტრში. დამავიწყდა მეთქვა, თამაში კიდევ იმით გამოირჩეოდა, რომ თითქმის ყოველი შეტაკება მოთამაშეთა ჯგუფური ყვირილით თავდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფეხბურთელები უდიდეს ტკივილს განიცდიდნენ ორთაბრძოლისას.

როგორც იქნა, გაიმარჯვა რუსთავის „მეტალურგმა“, რომელიც რეზო ძოძუაშვილის გუნდში მოსვლის შემდეგ აშკარა პროგრესს განიცდის.

გურჯაანის „ერქვანი“ დისკვალიფიკაციის გამო კარგა ხანია საშინაო თამაშებს თბილისში ატარებს და ნოემბრის პირველ რიცხვებამდე ვერ ითამაშებს დავით ყიფიანის სახელობის სტადიონზე. ამჯერად გურჯაანელებმა „სინათლის“ სტადიონზე „უმასპინძლეს“ ხაშურელებს და თანაბარი თამაში ნულოვანი ფრეთი დამთავრდა.

დასავლეთის ზონაში „ტორპედომ“ ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ როგორც იქნა, მოიგო შინ „მზიურთან“. კარგად ითამაშა ნოზაძემ, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. მატჩი ორმხრივი შეტევებით მიდიოდა და ანგარიში სულაც არ გამოხატავს რეალობას.

რაც შეეხება სოხუმის „ცხუმსა“ და ოჩამჩირის „ამირანს“, სატელეფონო კავშირის არარსებობის გამო მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ „ცხუმის“ მწვრთნელი ნიკა ამირეჯიბი თბილისში იმყოფება. 14 სექტემბერს „ცხუმმა“



გიორგი ანჩაბაძე

თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩი ითამაშა რუსთავში „მეტალურგთან“. 15 სექტემბერს „ცხუმი“ საკუთარი ავტობუსით სოხუმს გაემგზავრა, ნიკა ამირეჯიბი და ორი ფეხბურთელი: თბილისელი კლიმენტი ნინუა და თეიმურაზ გადელია, რომელსაც მშობლები ჰყავდა თბილისში, დედაქალაქში დარჩნენ. 16-ში დილას სამივე აეროპორტში მივიდა, რათა სოხუმს გაფრენილიყვნენ, მაგრამ იმ დღეს ყველა თვითმფრინავი, რომელიც სოხუმში გაფრინდა, ჯარისკაცებით იყო სავსე, რადგან დილას აფხაზმა სეპარატისტებმა მუხანათურად დაარღვიეს სოჭის შეთანხმება. „ცხუმისა“ და „ამირანის“ მოთამაშეები კი თავიანთ ქალაქებს იცავენ და კაცმა არ იცის, რა დღეში არიან. „ცხუმის“ ადგილსამყოფელი სასტუმრო დაიბომბა, მეორე კორპუსი კი, სადაც მწვრთნელები ცხოვრობდნენ, აღარ არსებობს. სოხუმს გაფრინდა „თეთრი არწივის“ ლიდერი გრიგოლ ცაავაც, რომელიც ომის პირველი დღიდანვე წინა ხაზზე იბრძოდა...

# „მეტრო“ გვირაბებში და მწვანე მინდორზე

თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატს დიდი ხნის ისტორია აქვს. მეორე წელია ქალაქის პირველობის გამართვას ხელი მოჰკიდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ და მისი მონაწილის სახელით გეტყვით, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე ატარებს. არ ყოფილა მსაჯთა გამოუცხადებლობის არც ერთი შემთხვევა. შარშანდელ პირველობაში ჟურნალისტთა ნაკრები — „ჩემპიონიც“ მონაწილეობდა და მეოთხე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი მეტრომშენის „მეტრო“ გახდა. გუშინ სტარტი აიღო ქალაქის 1992-93 წლების ჩემპიონატმა. საორგანიზაციო საკითხებს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მუშაკი ბატონი **პაპუნა** მელქაძე ხელმძღვანელობს, რომელთანაც მოკლე ინტერვიუს გთავაზობთ:

**— ბატონო პაპუნა, რამდენი გუნდი ჩაებმება ახალ ჩემპიონატში?**

— წელს ცხრა გუნდი ითამაშებს. ესენია: მეტრომშენის „მეტრო“, ს.კ. „ალგეთი“, მაუდ-კამვოლის ქარხნის „ივერია“, არმიის კლუბი ასკ-2, ფიზკულტურის ინსტიტუტი, ს.კ. „მეტეხი“, ს.კ. „ავაზა“, საქართველოს მსაჯთა ნაკრები „რეფერი“, და ჟურნალისტთა ნაკრები „გეიკო-ჩემპიონი“. ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდება. წელს გაიმართება პირველი წრე, გაისად, გაზაფხულიდან კი — მეორე.

**— შარშან ყველა თამაშზე სამივე მსაჯი მოდიოდა, არც ერთხელ არ ყოფილა მათი გამოუცხადებლობის შემთხვევა. წელს როგორ იქნება საქმე?**

— წელს უკეთ იქნება. ჩვენ ფიფა-ს მსაჯებიც დავავალდებულეთ, რომ თითოეულმა მათგანმა რამდენიმე მატჩი იმსაჯოს უსასყიდლოდ. ვფიქრობ, ეს მეტ ელფერს შესძენს ჩემპიონატს. გახსნის მატჩს „მეტრო“ — „ალგეთი“ ფიფა-ს არბიტრი თამაზ ლაცაბიძე იმსაჯებს.

**— რომელ სტადიონებზე ჩატარდება თამაშები?**

— მაუდ-კამვოლის სტადიონზე დიდუბეში, „სინათლის“ სტადიონზე, — ავჭალაში და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე — ვაკეში.

**— როდის დამთავრდება პირველი წრე?**

— ნოემბრის შუა რიცხვებში. ჩემპიონატი 1994 წელს მარტის ბოლოს განახლდება.

მამუკა კვანტალიანი

## პირველი ჯგუფი

### აღმოსავლეთი. X ტური

**შევარდენი 1906 1 — მრეტები 0**

თბილისი. სტადიონი „შევარდენი“. 24 სექტემბერი

შევარდენი 1906: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ხურცილავა, ქოჩლაძე, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ჯანაშია (ტარტარაშვილი, 80).
მრეტები: ჯანელიძე, ქვარცხავა, ქორიძე, ამბიძე, ირემაშვილი (ბურდული, 20), ბახტაძე, თეთრაული (მოსულიშვილი, 60), ძაბირაძე, გელაძე, ტყავაძე, იაგორაშვილი.

1:0 ფანცულაია (70)

გაფრთხილება: ქორიძე, ბახტაძე
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ერქვანი 0 — ივერია 0**

თბილისი. სტადიონი „სინათლე“ 24 სექტემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, დოლიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე (ყიზილაშვილი, 80), ინიაშვილი, მოსიკაშვილი (თაბუკაშვილი, 86), ჩიბაშვილი, კიკნაძე, მეტრეველი.
ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, გ. ჩადუნელი, ბ.ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, რობაქიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე (მჭედლიშვილი, 60).
გაფრთხილება: რობაქიძე, მჭედლიშვილი
მსაჯი: ჯ. წერეთელი (რუსთავი)

**მარგვეთი 1 — დილა 0**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი 24 სექტემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, თ. გაბრიჭიძე, გურიელიძე, ლონლაძე, წიქარიშვილი, ფაიქიძე (ლანჩავა, 80), ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი (ჩიხლაძე, 88), შენგელია.
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი (რევაზიშვილი, 80), მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი.

1:0 მეგრელაძე (25)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**მეტალურგი 3 — კახეთი 2**

რუსთავი. სტადიონი „მეტალურგი“ 24 სექტემბერი

მეტალურგი: ქორიძე, ქართველიშვილი (ჩოჩიევი, 46), ბურნაძე, არჩვაძე, დუშუაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, მაჭავარიანი (გახოკიძე, 61), მეტრეველი, ალადაშვილი.
კახეთი: გრიშიკაშვილი, ა. ხორხელი, ნაკუდაიძე, სანადირაძე, წიქარიშვილი, ჭვრიტიძე, სეფაშვილი, ლ.ხორხელი, ალავიძე (შონია, 40), კვარაცხელია, ბაბულაიძე.

1:0 ალადაშვილი (3)
1:1 კვარაცხელია (5)
2:1 ამბიძე (35)
3:1 ალადაშვილი (68)
3:2 ჭვრიტიძე (70)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### XI ტური

**საპოვნელა 0 — დინამო 1**

თერჯოლა. ცენტრალური სტადიონი. 24 სექტემბერი

საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი, გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე (გოდერძიშვილი, 72), ხვარეშია, ახვლედიანი, ჩინჩალაძე.
დინამო: გვარამაძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ქველაძე, ლობჟანიძე, ანჩაბაძე, შ. ხუჯაძე, ჯამარაული, ცქიტიშვილი (მაზიაშვილი, 85), კიკნაძე, ტრაპაიძე (ი. ხუჯაძე, 88).

0:1 ანჩაბაძე (60 პ)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 33-6 | 24 |
| მარგვეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 18-10 | 16 |
| შევარდენი | 8 | 5 | 0 | 3 | 16-13 | 15 |
| კახეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-11 | 14 |
| მალაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-16 | 13 |
| საპოვნელა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-10 | 10 |
| ერქვანი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-15 | 10 |
| ივერია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| დილა | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| მეტალურგი | 9 | 2 | 0 | 7 | 9-25 | 6 |
| მრეტები | 7 | 1 | 0 | 6 | 3-21 | 3 |

### დასავლეთი. X ტური

**ტორპედო 3 — მზიური 0**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 24 სექტემბერი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, სადილიანი (კვეტენაძე, 13; მესიაჩენკო, 46), ჯინჭარაძე, გიორგობიანი, მაღლაკელიძე, ხუჭუა, ვაჩიბერაძე.
მზიური: ფიფია, თ. ღურწკაია, კ. კვეკვესქირი, ზ. კვეკვესქირი, ხურცილავა, ხერგიანი, ქორთუა (დ. კვეკვესქირი, 69), თორია, ყოლბაია, ჩხეტია, ქანთარია.

1:0 ხუჭუა (5)
2:0 ნოზაძე (36)
3:0 ნოზაძე (60 პ)

მსაჯი: ს. კახიანი (სამტრედია)

**ბათუმი 4 — გურია 1**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი 24 სექტემბერი

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე (სიხარულიძე, 60), შანიძე, გეთია, შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, ყულეჯიშვილი, ხომერიკი, ტულუში, კანტიძე (მუჯირი, 85).
გურია: აბუსერიძე, გამცემლიძე, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, გოგოლაძე, რეხვიაშვილი, კორღალიძე (მეჩეხია 51), ფრიდონაშვილი, პერტია (ნარიაშვილი, 63).

0:1 დანელია (55 პ)
1:1 ხომერიკი (57)
2:1 თორლაშვილი (63)
3:1 ხომერიკი (86)
4:1 ხომერიკი (88)

მსაჯი: მ. შალაღურაძე (თბილისი)

**სამტრედია 2 — ოდიში 0**

სამგურალი — ამირანი, კოლხეთი 1913 — ცხუმი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 9 | 6 | 1 | 2 | 21-8 | 19 |
| სამტრედია | 7 | 5 | 1 | 1 | 16-7 | 16 |
| გურია | 7 | 5 | 0 | 2 | 25-9 | 15 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-7 | 13 |
| ტორპედო | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| ცხუმი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-16 | 6 |
| ოდიში | 6 | 1 | 2 | 3 | 10-15 | 5 |
| მზიური | 8 | 1 | 2 | 5 | 8-22 | 5 |
| ამირანი | 6 | 0 | 4 | 2 | 12-16 | 4 |
| სამგურალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |

## მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი

VI ტური. 25 სექტემბერი
რკონი — ჭაბუკიანი 1:1
თეთრი არწივი — ერქვანი-ზოოვეტი 6:1
შირაქი — მერანი-91 1:0
ნაფარეული — ანცი 2:1
თორი — მერანი 0:1
მესხეთი — ქართლი 2:0
სიონი — ბახტრიონი 3:0
არმაზი — დურუჯი 1:2
არაგვი — არმაზი-90 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თეთრი არწივი | 5 | 4 | 0 | 1 | 15-5 | 12 |
| ანცი | 5 | 4 | 0 | 1 | 13-3 | 12 |
| ნაფარეული | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 |
| ჭაბუკიანი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| სიონი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-5 | 9 |
| დურუჯი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-5 | 9 |
| შირაქი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| არმაზი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-6 | 7 |
| არმაზი-90 | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| არაგვი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| მერანი-ბაჩო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| რკონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-11 | 7 |
| თორი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| ბახტრიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-11 | 3 |
| ერქვანი-ზოოვ. | 5 | 0 | 1 | 4 | 5-15 | 1 |
| ქართლი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-13 | 1 |
| მერანი-91 | 5 | 0 | 1 | 4 | 1-14 | 1 |

### დასავლეთი

VI ტური. 25 სექტემბერი
ბახმარო — ჩხერიმელა 3:1
უქიმერიონი — კოლხეთი 1:0
ჩიხურა — შევარდენი 1:1
ულუმბო — ეგრისი 2:1
ანაკო—სულორი 3:0 (არ გამოცხადდა)
იმერეთი — გურია-2 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეშახტე | 4 | 4 | 0 | 0 | 14-3 | 12 |
| ანაკო | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| გურია-2 | 5 | 2 | 1 | 2 | 11-10 | 7 |
| ეგრისი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-6 | 6 |
| უქიმერიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ულუმბო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-8 | 6 |
| კახაბერი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-9 | 5 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| იმერეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| ბახმარო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-10 | 4 |
| სულორი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| სამეგრელო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| შევარდენი | 3 | 0 | 2 | 1 | 5-8 | 2 |
| ჩხერიმელა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

## მესამე ჯგუფი

### I ქვეჯგუფი

IV ტური. 24 სექტემბერი
ალგეთი — გარეჯი 0:3 (არ გამოცხ.)
სამგორი — ფხოვი 0:4
ქიზიყი — პონი 4:1
შუამთა — იმედი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქიზიყი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-3 | 9 |
| სამგორი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| გარეჯი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| იმედი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| ფხოვი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| შუამთა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| პონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| ალგეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-15 | 0 |

### II ქვეჯგუფი

III ტური. 20 სექტემბერი
ცხინვალი — ტორპედო-2 2:0
IV ტური. 24 სექტემბერი
ვიქტორია — ტორპედო-2 1:2
ავაზა — ცხინვალი 1:1
იმედი — მუხნარი 1:7
იბერია — ყინვალი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუხნარი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-4 | 7 |
| ყინვალი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-6 | 7 |
| იბერია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ცხინვალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| ტორპედო-2 | 4 | 1 | 2 | 1 | 7-8 | 5 |
| ვიქტორია | 3 | 1 | 1 | 1 | 7-2 | 4 |
| ავაზა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| იმედი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-17 | 0 |

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, დღეს, 28 სექტემბერს საქართველოს თასის განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური თამაშები არ შედგება. ყველა ჯგუფში ჩემპიონატი 3 ოქტომბრამდეა შეჩერებული.

# ქართველები ისევ თამაშგარე არიან ამჯერად კუპერის ტესტის გამო

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს მსაჯთა ბრიგადა (გურამ სეფიაშვილი, მურად ჯულაყიძე, თამაზ მაჭარაძე) უეფა-ს მსაჯთა კომიტეტმა მოხსნა ევროპის ქალთა ჩემპიონატის მატჩის (ბულგარეთი — ლიტვა) მომსახურებიდან. ამის მიზეზია მთავარი მსაჯის თბილისელი გურამ სეფიაშვილის მიერ ამასწინათ გერმანიაში კუპერის ტესტის ვერჩაბარება. ამჯერად გუნდების მოხსნას მსაჯების მოხსნაც დაემატა. ახლა მხოლოდ თამაზ ლაცაბიძეს აქვს უფლება იმსაჯოს საერთაშორისო თამაშები, რადგან ვერც ზუგდიდელმა სერგო კვარაცხელიამ ჩააბარა კუპერის ტესტი.

ამის შესახებ განმარტება ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტს ავთანდილ კოკაიას, რომელმაც გვიპასუხა, რომ ელოდება ოფიციალურ შეტყობინებას შვეიცარიიდან და დაუყოვნებლივ აცნობებს რედაქციას ამის შესახებ.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ კუპერის ტესტი 12 წუთიანი სირბილია დროზე.

ანზორ გძელიძე უკვე მესამედ მიუბრუნდა გალის „მზიურს". იგი ამ გუნდს ჯერ 1976-79 წლებში წვრთნიდა, შემდეგ 1988-91 წლებში. შემდეგ იგი გურჯაანის „ალაზანსა" და ოზურგეთის „მერცხალს" ედგა სათავეში. წლევანდელი სეზონი „მზიურმა" ისევ ანზორ გძელიძის ხელმძღვანელობით დაიწყო და უნდა ითქვას გალელები ურიგოდ არ გამოიყურებიან, მითუმეტეს გუნდმა შარშან დაკარგა ქეცბაიას შემდეგ საუკეთესო გალელი ფეხბურთელი კობა ხარჩილავა (რომლის სახელიც მიენიჭა გალის ცენტრალურ სტადიონს). გრძელიძემ სულ ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდა გუნდი და მუშაობას შეუდგა.

# გალი იბრძვის და ფეხბურთსაც თამაშობს!

— ბატონო ანზორ, რა მდგომარეობაა ამჟამად გალში?

— გალი ფრონტისპირა ქალაქს ჰგავს. იქმნება რაზმები, რომლებიც დაუყოვნებლივ მიდიან ოჩამჩირის ფრონტზე. სამწუხაროდ, უკვე მსხვერპლიც არის, ბევრმა გალელმა სიცოცხლე შესწირა საქართველოს ერთიანობას.

— **ფეხბურთელებიც ხომ არ იბრძვიან?**

— მიიწევენ ფრონტზე, მაგრამ ჯერჯერობით არ ვუშვებთ. ქალაქისა და კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯერ არ არის იმის საჭიროება, ფეხბურთელებიც ჩაებნენ ომში.

— **კლუბში სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მიხვედით, რა მდგომარეობა დაგხვდათ?**

— გუნდი ფაქტიურად დაშლილი იყო. გალელ თავკაცთა და ადგილობრივი სპონსორების თაოსნობით ყველა გალელი დავაბრუნეთ გუნდში. შეკრება ბათუმში გავიარეთ, სულ თორმეტი დღე იყო დარჩენილი და ბურთები არ გვქონდა. ექვსი დღის მერე ოთხი ბურთი მოგვიტანეს და ბურთთან ვარჯიშიც დავიწყეთ. მძიმე პირობების გამო, ბუნებრივია, ფიზიკურად სუსტად ვართ ჯერჯერობით, მაგრამ იმედი მაქვს თუ მშვიდობა იქნა და ჩემპიონატი გაგრძელდა, მის მსვლელობაში ალვიდგენთ ფორმას.

— **კობა ხარჩილავა ნახევარი გუნდი იყო, ალბათ ძალიან გაკლიათ მისი არყოფნა.**

— ეჰ, კობასნაირი ფეხბურთელი იშვიათია დღეს. ძალიან გვაკლია იგი. მის ადგილას ხან ქორთუას, ხან ყოლბაიას ვაყენებ, ახალგაზრდა ბიჭები არიან და იმედია ნელ-ნელა მოუმატებენ.

— **ჯერჯერობით ხუთი ქულა გაქვთ რვა თამაშში. ალბათ ამ ბაგაჟით ხუთეულზე ფიქრი უკვე ზედმეტია.**

— ქულები გაცილებით მეტი გვექნებოდა, „ბათუმთან" და „მუქურასთან" უკეთესად რომ ემსაჯათ მსაჯებს, მაგრამ რას იზამ, დაკარგულს ველარ აინაზღარებ.

— **გალში ფეხბურთი თუ აინტერესებს ხალხს ამ ომიანობაში?**

— სტადიონი პირთამდე ივსება, ერთადერთი გასახარებელი ფეხბურთილა დარჩა ხალხს. ჩვენ ფეხს არ ვიცვლით ქალაქიდან და თუ საჭირო გახდება ბრძოლაშიც ჩავებმებით.

მამუკა კვარაცხელია

# «ქართველი ელკიაერის» ზეობა არ შედგა



ჯუმბერ ჩუხუა (მარცხნივ)

„მრეტებს" ტყავაძის შემდეგ კიდევ ერთი ლიდერი დაუბრუნდა: ბელგიიდან ჩამოვიდა მათი თავდასხმელი ჯუმბერ ჩუხუა, რომელმაც, ორ ჩემპიონატში, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა (დაიბადა 1974 წლის 10 ოქტომბერს), შესაშური შედეგიანობით გამოიჩინა თავი და 60 მატჩში 23 გოლი გაიტანა. ჯუბა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ამას წინათ ესპანეთში ნაკრებმა ოთხ მატჩში ორადორი გოლი რომ გაიტანა, ორივე მის ანგარიშზე მოდიოდა.

ჩუხუა ორ კვირას იმყოფებოდა ბელგიაში: ცნობილ „ლოკერენსა" და უცნობ „ბიშკოკში" (ანტვერპენის მეორე გუნდი) გაიარა შემოწმება. გულშემატკივრებს ეხსომებათ, რომ ათი წლის წინ „ლოკერენის" მწვანე მაისური დანიელმა „ბიზონმა" პრებენ ელკიაერმა მოირგო და ამ გუნდში ოთხ წელიწადში ნათამაშევ 200 მატჩში 110 გოლი გაიტანა. თუ რატომ ვერ გახდა ჩუხუა ქართველი ელკიაერი ბელგიაში, ალბათ თვითონ უკეთ მოგვითხრობს:

— ჩასვლის დღესვე „ლოკერენში" გუნდთან ერთად ვივარჯიშე, ვარჯიშის ბოლოს კი ორმხრივი თამაში გვქონდა, სადაც ორი გოლი გავიტანე და „ლოკერენის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მეორე დღეს „ვატერლოოს" წინააღმდეგ გამოვეყვანე ამხანაგურ მატჩში. თამაშის დასაწყისშივე ორ წუთში ზედიზედ სამჯერ შევქმენი საგოლე მომენტი, მაგრამ იმდენად ვიყავი ფსიქოლოგიურად დაძაბული, რომ სამივე გამიცუდდა. ავღელდი და ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენე. გუნდის ხელმძღვანელობამ იფიქრა, გოლის გატანა არ სცოდნიაო და მეორე ტაიმში შემცვალა. არადა, მათ სწორედ გოლის გამტანი თავდამსხმელი სჭირდებოდათ. ორი რუსიც გამოსცადეს, ერთი „ტორპედოდან", ერთი „ლოკომოტივიდან" (გვარები აღარ მახსოვს), ამ უკანასკნელმა გაიტანა ერთი გოლი და დატოვეს კლუბში.

— **რა პირობებში იცხოვრებს ის „რკინიგზელი"?**

— ექნება რამდენიმე ათასი დოლარი თვეში, მანქანა, ბინა და იდეალური პირობები ფეხბურთის სათამაშოდ.

— **მეორე კლუბში რაღა დაგემართა?**

— რა ვიცი, შევიბორკე და ვერც მეორე თამაშში: „ბიშკოკი" — „სენტ ნიკოლი" გავიტანე გოლი. თუმცა „ბიშკოკში" სამი თვით დარჩენა შემომთავაზეს — ფიზიკურად მოგამზადებთო. როცა მაისური გავიძვრე, გადაირივნენ, ასეთი გამხდარი ფეხბურთს როგორ თამაშობო. იქ ძალზე ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ, ზოგიერთი იმათი ფეხბურთელი ტექნიკურად და ტაქტიკურად იმდენად სუსტია, საქართველოს ჩემპიონატში სათადარიგოთა სკამზე იჯდებოდა, მაგრამ ათლეტურად ისე კარგად არიან მომზადებულნი, რომ ამის ხარჯზე გადიან ფონს. დარწმუნებული ვარ, ბუბა ტყავაძე იქ ვარსკვლავი იქნება, აღარაფერს ვამბობ ქინქლაძეზე და არველაძეებზე.

— **რატომ არ დარჩი ანტვერპენში სამი თვით, თუ „ბიშკოკი" ამას გთავაზობდა?**

— საჭმლის მომნელებელი სისტემა მომეშალა. იქაურ საჭმელს ვერაფრით შევეგუე. ვითომდა ბევრს ვჭამდი, მაგრამ ქართული საჭმელი სულ სხვაა. პურს თითქმის არ ჭამენ, იმ თხუთმეტ დღეში ორიოდე ნაჭერი პური შევჭამე. ბელგიაში კარტოფილით აკომპენსირებენ პურს.

— **ის სამი თვე მარტო უნდა ყოფილიყავი, თუ ოჯახთან ერთად?**

— რა თქმა უნდა ოჯახთან ერთად, თუ ფეხბურთელი დაოჯახებული არ არის, ბელგიელები თავს იკავებენ მისი მიწვევისაგან. თვლიან, რომ დაოჯახებული კაცი, რომელსაც ყველა პირობას შეუქმნი, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრებს.

— **ყოფილი სსრკ-დან თუ თამაშობენ ფეხბურთელები ბელგიაში?**

— რამდენიმე თამაშობს, ოღონდ ვერ გავარკვიე, ვინ და სად, დრო არ მქონდა. ძირითადად ნიგერიელ, ზიმბაბველ და აფრიკის სხვა ქვეყნების ფეხბურთელებს იწვევენ, ახალგაზრდათა ტურნირებზე და ჩემპიონატებზე აკვირდებიან. ახლახან ესპანეთის ტურნირზე რომ ვიყავით, ბევრი ნაცნობი უცხოელი ვნახე იქიდან ბელგიაში ჩამოსული.

— **ჩვენმა ნაკრებმა სამი თამაში წააგო და მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. რით ახსნი ასეთ ფიასკოს?**

— ამის ახსნა მწვრთნელების საქმეა. ყოველგვარი საწვრთნელი შეკრების გარეშე წავედით, მოთამაშეებს არ ვიცნობდი და პირველ თამაშებზე ნომრებით ვეძახდით ერთმანეთს. რუსეთის ნაკრებთან, სამი ნათამაშევი მატჩის შემდეგ კი უკვე შევთამაშდით, კარგადაც ვითამაშეთ.

— **ახლა ყველა სპორტსმენი საზღვარგარეთ გარბის, რა არის შენის აზრით ამის მიზეზი, ჩვენი მძიმე პირობების გარდა?**

— ბელგიის მაგალითზე გეტყვი. იქ ფეხბურთელი საშუალო ბელგიელზე (ხომ წარმოგიდგენია, საშუალო ბელგიელი როგორ ცხოვრობს?) გაცილებით კარგად ცხოვრობს, თანაც საფიქრალი არაფერი გაქვს — მარტო ფეხბურთი ითამაშე. როგორ გინდა ამ ცდუნებას გაუძლო? თანაც ფეხბურთში ათი-თორმეტი წლით ხარ მოსული...

— **ზემოთ ახსენე, რომ იქაურები შესაშური ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან. აქ ხომ არ აპირებ ათლეტიზმს მოჰკიდო ხელი?**

— რა თქმა უნდა, თანაც მინდა ჩემს უმცროს კოლეგებს ვურჩიო, დაუყოვნებლივ დაიწყონ ათლეტური ვარჯიშები. ალბათ ქართველი მწვრთნელები, რომლებიც ბავშვებს ავარჯიშებენ, მეტ ყურადღებას დაუთმობენ ათლეტურ მომზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც არ უნდა ტექნიკური იყოს ფეხბურთელი, არაფერი გამოუვა.

— **საზღვარგარეთ ერთხელ წასული ფეხბურთელი იმდენად „იწამლება", რომ მუდამ იმას ფიქრობს, როგორც წავიდეს ისევ იქ და თუნდაც მეათეხარისხოვან გუნდში ითამაშოს. შენც კვლავ იქითკენ გეჭირავს თვალი?**

— ბელგიიდან გერმანიის გავლით გამოვემგზავრე. ობერლიგის ერთ-ერთ გუნდში „ვალდჰოფში" უნდა მეცადა ბედი (ეს ქალაქი ოცდაათ კილომეტრშია კარლსრუედან), მაგრამ ავადმყოფობის გართულების გამო ვერ მოვახერხე თამაში. როსტოკის „ჰანზასთან" მატჩში, რომელშიც მე უნდა მეთამაშა, ოცდაორივე ფეხბურთელი გლადიატორივით იბრძოდა, ყოველ ხუთ წუთში ექიმის ჩარევა იყო საჭირო, იმდენად ხშირი და უკომპრომისო იყო ორთაბრძოლა. კარლსრუეში ვუყურე „კარლსრუე" — „ვერდერის" თამაშს, რომელიც „ვერდერმა" 3:0 მოიგო. მასპინძელთაგან რუსი კირიაკოვი ყველას სჯობდა, მაგრამ „ვერდერი" იმ დღეს შეუდარებელი იყო.

— **შენი მშობლიური გუნდი — „მრეტები" გათამაშების ცხრილის ფსკერზეა, იმედია ტყავაძესავით შენც ამოუდგები მხარში თანაგუნდელებს?**

— თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი, 28 სექტემბერს უკვე ვითამაშებ „ბათუმთან" თასის მატჩზე; ჩემპიონატი რომ დავიწყეთ, მართლაც სულ სხვა გუნდი იყო, ახლა ცოტა შევთამაშდით, თანაც, რაც მთავარია, ბუბა ტყავაძე დაგვემატა. იმედი მაქვს, ჩვენი დუეტი ისევ ათამაშდება და კიდევ მრავალ გოლს გაიტანს. რამდენიმე თვეში კი ისევ გერმანიას გავემგზავრები და კიდევ ერთხელ ვცდი ბედს...

...ზემოთ ელკიაერი ვახსენე. დანიელმა ფორვარდმაც ზუსტად ჩუხუას ასაკში სცადა ბედი საზღვარგარეთ, მაგრამ „კიოლნში" არაფერი გამოუვიდა, შემდეგ „ლოკერენში" გადავიდა და მეტოქეთა დაცვას ბდღვირი ადინა. ჩუხუა საპირისპიროდ იქცევა, ბელგიიდან გერმანიაში მიდის. ნეტავ, თუ გაიმეორებს სახელოვანი დანიელის წარმატებებს?

მამუკა კვარაცხელია



ყიზილაშვილი „არაუსთან" მატჩში ჩემპიონთა თასზე

# ყიზილაშვილმა კვიპროსს ქეცბაია დაავიწყა

გუშინწინ დაიწყო კვიპროსის ეროვნული ჩემპიონატი. ნიქოზიის „ომონიაში" ორი ქართველი თამაშობს — დავით ყიზილაშვილი და გოჩა გოგრიჭიანი. პირველი მათგანი, თამამად შეიძლება ითქვას, უკვე კვიპროსის ეროვნული გმირია. ყიზილაშვილის ფოტოსურათებს ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდზე ათავსებენ. შვეიცარიის „არაუსთან" დათომ ორი გოლი გაიტანა და მატჩის შემდეგ პოლიციის გამოძახებაც კი გახდა საჭირო, რათა ხალხი დაშლილიყო.

სანამ ყიზილაშვილმა თხოვნით არ მიმართა გულშემატკივრებს, სახლში წასულიყვნენ, ფეხი არავის მოუცვლია. მას შემდეგ ასეა ყოველი მატჩის შემდეგ, ასე იყო გუშინწინაც, როცა „ომონიამ" ფრედ 1:1 ითამაშა გახსნის მატჩი. ჩემპიონთა თასის განმეორებით თამაშში, შვეიცარიაში კი მისი მოცელვისთვის მატჩის არბიტრმა აშკარა პენალტი არ დანიშნა „არაუს" კარში. კლუბის პრეზიდენტმა მატჩის შემდეგ „ომონიას" პრეზიდენტს გვარიანი თანხა შესთავაზა ყიზილაშვილის გადასაბირებლად, მაგრამ კვიპროსელმა უარი უთხრა... მაყურებელთა შიშით, რადგან ყიზილაშვილის სახელი კვიპროსში ბავშვსაც კი პირზე აკერია.

დათო თავს მშვენივრად გრძნობს. იგი ახლად მიღებულ ფეშენებელურ ბინაში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. აქვს დიდი ჯამაგირი, ახალთახალი მანქანა და, რაც მთავარია, სახელი, რომლის მოხვეჭაც ძალზე ძნელია, დაკარგვა კი მეტად ადვილი.

ქართველ გულშემატკივარს კი ყიზილაშვილი საკვიპროსედ არ ემეტება და უეჭველია, დათოს არც ევროპის ძლიერ კლუბებში გაუჭირდება თამაში, მაგრამ რას აპირებს იგი ამჟამად, ჩვენთვის უცნობია. ამიტომ გადავწყვიტეთ, „სარბიელის" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში თქვენთვის შემო-



[illegible]ნი და ყიზილაშვილი
[illegible]ი ლხინი კვიპროსში

გვეთ[illegible]ნა ყიზილაშვილთან სატელე[illegible]ნტერვიუ. მანამდე კი ვთხოვ[illegible]შემატკივრებს, დაგვირეკონ [illegible]ქციაში და მისთვის საინტერესო [illegible]ვა ჩაგვაწ[illegible]იონ.

# აფრიკა

ამ რეგიონის სამი ფინალური ჯგუფის გამარჯვებული ამერიკის საგზურს მიიღებს.

## „ა" ჯგუფი

25.IX. ლაგოსი.
ნიგერია — სპილოს ძვლის ნაპირი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპ.ძვლ.ნაპირი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 5 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 9-4 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

8.X ალჟირი — ნიგერია

## „ბ" ჯგუფი

26.IX. ლუსაკა.
ზამბია — სენეგალი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 5 |
| მაროკო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 4 |
| სენეგალი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

10.X მაროკო — ზამბია

## „გ" ჯგუფი

26.IX. ჰარარე.
ზიმბაბვე — გვინეა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 4 |
| ზიმბაბვე | 3 | 2 | 0 | 1 | 2-3 | 4 |
| გვინეა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 2 |

10.X. კამერუნი — ზიმბაბვე

აფრიკის ზონის სამივე ჯგუფში შეჯიბრების დამთავრებამდე თითო მატჩიღა დარჩა. ისინი ორი კვირის თავზე გაიმართება. ნიგერია სტუმრად ეთამაშება ალჟირს და თუ არ დამარცხდება, აშშ-ის საგზურსაც მიიღებს. სხვა შემთხვევაში ფინალში აფრიკის ჩემპიონი, სპილოს ძვლის ნაპირი (კოტ'დივუარი) გავა. ზამბიას შინ, მაროკოს წინააღმდეგ ფრეც ხელს აძლევს. ასეთივე უპირატესობა აქვს კამერუნს ზიმბაბვესთან შეხვედრაში.

# შოტლანდია

მერვე ტურის ცენტრალური მატჩი გლაზგოში „რეინჯერსსა" და ლიდერ „ჰიბერნიანს" შორის დაძაბულად წარიმართა და მასპინძლების გამარჯვებით 2:1 დამთავრდა. „რეინჯერსიდან" გოლები ინგლისელებმა ტრევორ სტივენმა და მარკ ჰეიტლიმ გაიტანეს. ერთპიროვნული ლიდერი გახდა „აბერდინი", რომელმაც ლი რიჩარდსონის უბადლო თამაშით „რეით როვერსი" დაამარცხა — 4:1. ორი გოლი რიჩარდსონმა გაიტანა. ამ ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ორი ნოლია და ორივე დანდის გუნდებს ეკუთვნის: „იუნაიტედს" ჯერ არ წაუგია, „დანდის" კი პირიქით — ჯერ მოგება არა აქვს.

დანარჩენი მატჩები: „დანდი იუნაიტედი" — „მოზერუელი" 0:0, „პართსი" — „სელტიკი" 1:0, „კილმარნოკი" — „პარტიკი" 3:1, „სენტ-ჯონსტონი" — „დანდი" 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბერდინი (2) | 8 | 5 | 1 | 2 | 11-5 | 11 |
| მოზერუელი (9) | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 10 |
| კილმარნოკი (დ) | 8 | 4 | 2 | 2 | 8-5 | 10 |
| დანდი იუნ. (4) | 8 | 2 | 6 | 0 | 7-5 | 10 |
| ჰიბერნიანი (7) | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 9 |
| რეინჯერსი (1) | 8 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 9 |
| პართსი (5) | 8 | 4 | 1 | 3 | 6-6 | 9 |
| სელტიკი (3) | 8 | 2 | 4 | 2 | 9-7 | 8 |
| ს. ჯონსტონი (6) | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 8 |
| პარტიკი (8) | 8 | 1 | 3 | 4 | 7-11 | 5 |
| რ. როვერსი (დ) | 8 | 1 | 3 | 4 | 8-17 | 5 |
| დანდი (10) | 8 | 0 | 2 | 6 | 4-11 | 2 |

# იტალია

VI ტური. 26 სექტემბერი. „კრემონეზე" — „მილანი" 0:2 (პაპენი, სიმონე), „კალიარი" — „ლაციო" 4:1 (მატეოლი, კაპიოლი, ვალდესი, ოლივეირა; კრავერო), „რეჯანა" — „ფოჯა" 0:0, „რომა" — „ატალანტა" 2:1 (ბალბო, პ ესლერი; განცი), „სამპდორია" — „პარმა" 1:1 (ლომბარდი; ასპრილია), „ნაპოლი" — „უდინეზე" 2:1, „ტორინო" — „ჯენოა" 2:0 (სილენცი, 2), „ლეჩე" — „იუვენტუსი" 1:1 (ბალდიერი; რ. ბაჯო), „ინტერი" — „პიაჩენცა" 2:0 (შურხკამპი, სოსა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 6 | 5 | 1 | 0 | 8-0 | 11 |
| პარმა (3) | 6 | 4 | 1 | 1 | 9-4 | 9 |
| ტორინო (9) | 6 | 4 | 1 | 1 | 8-4 | 9 |
| სამპდორია (7) | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 9 |
| იუვენტუსი (4) | 6 | 3 | 2 | 1 | 11-5 | 8 |
| ინტერი (2) | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| კალიარი (6) | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| ფოჯა (12) | 6 | 1 | 4 | 1 | 4-3 | 6 |
| ნაპოლი (11) | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 6 |
| ატალანტა (8) | 6 | 2 | 1 | 3 | 9-9 | 5 |
| კრემონეზე (დ) | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 5 |
| რომა (10) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 5 |
| ლაციო (5) | 6 | 1 | 3 | 2 | 3-6 | 5 |
| ჯენოა (13) | 6 | 1 | 2 | 3 | 4-6 | 4 |
| პიაჩენცა (დ) | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 4 |
| უდინეზე (14) | 6 | 1 | 1 | 4 | 3-7 | 3 |
| რეჯანა (დ) | 6 | 0 | 3 | 3 | 3-9 | 3 |
| ლეჩე (დ) | 6 | 0 | 1 | 5 | 3-9 | 1 |

# გერმანია

ცხადაძის „აინტრახტი" ფანტასტიურ ფორმაშია! გერმანიის ჩემპიონატშიც წაუგებლად თამაშობს და უეფა-ს თასზეც მოსკოვის „დინამოსთან" სტუმრადვე გაარკვია ყველაფერი. მეცხრე ტურში „აინტრახტს" მოულოდნელად გაუჭირდა „დინამოსთან", თუმცა ბოლოს მაინც გაიმარჯვა. პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები იგებდნენ 0:1 (სვენ კმეჩი), მეორის დასაწყისში კი ყველაფერი ადგილზე დადგა: იორნ ანდერსენმა, მაურიციო გაუდინომ და იან ფურტოკმ სამი გოლი გაუტანეს. მატჩის ბოლოს უვე იანიგმა შეამცირა



სერხიო სარატე

სხვაობა 3:2. ახლა „აინტრახტი" 16 ქულით ლიდერობს და ორი ქულით უსწრებს ჩემპიონ „ვერდერს", ვინც შინ „ვატენშაიდი" ვერ დაამარცხა — 0:0. „აინტრახტის" გარდა კიდევ ერთი გუნდი, „დუისბურგი" თამაშობს წაუგებლად. ბოლო ტურში მან სტუმრად „ჰამბურგი" დაამარცხა 1:0 (უვე ვაიდემანი). მიუნხენის „ბაიერნი" უგებდა გასვლაზე დორტმუნდს მეხმეთ შოლის გოლით, მაგრამ შტეფან კარლმა ქულა იხსნა — 1:1. „ნიურნბერგი" შინ ორჯერ იგებდა „ფრაიბურგთან" (ორივე გოლი არგენტინელმა სარატემ გაიტანა), მაგრამ თამაში მაინც ფრედ დამთავრდა — 2:2.

ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კარლსრუე" — „შალკე" 0:0, „კიოლნი" — „ლაიპციგი" 3:1, „კაიზერსლაუტერნი" — „ბაიერი" ლევერკუზენი 3:2. კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო „ბორუსია" მიონხენგლადბახი — „შტუტგარტის" მატჩი.

სატურნირო ცხრილში დრეზდენის „დინამოს" უკვე ჩამოკლებული აქვს ის 4 ქულა, რომელიც კლუბში ფინანსური უწესრიგობის გამო გერმანიის ფედერაციამ გუნდს სეზონის დასაწყისშივე მოაკლო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 9 | 7 | 2 | 0 | 26-9 | 16 |
| ვერდერი (1) | 9 | 6 | 2 | 1 | 19-11 | 14 |
| ჰამბურგი (11) | 9 | 6 | 1 | 2 | 20-11 | 13 |
| დუისბურგი (დ) | 9 | 4 | 5 | 0 | 18-10 | 13 |
| კაიზერსლ. (8) | 9 | 5 | 2 | 2 | 18-12 | 12 |
| ლევერკუზ. (5) | 9 | 4 | 3 | 2 | 17-15 | 11 |
| ბაიერნი (2) | 9 | 3 | 4 | 2 | 20-12 | 10 |
| დორტმუნდი (4) | 9 | 3 | 3 | 3 | 15-12 | 9 |
| კიოლნი (12) | 9 | 4 | 1 | 4 | 11-10 | 9 |
| კარლსრუე (6) | 9 | 2 | 3 | 4 | 8-12 | 7 |
| შტუტგარტი (7) | 7 | 1 | 4 | 2 | 14-17 | 6 |
| მიონხენგლ. (9) | 8 | 2 | 2 | 4 | 13-18 | 6 |
| ვატენშაიდი (14) | 9 | 1 | 4 | 4 | 11-16 | 6 |
| ნიურნბერგი (13) | 9 | 2 | 2 | 5 | 10-20 | 6 |
| ლაიპციგი (დ) | 8 | 1 | 3 | 4 | 8-17 | 5 |
| ფრაიბურგი (დ) | 9 | 1 | 2 | 6 | 14-21 | 4 |
| შალკე-04 (10) | 9 | 1 | 2 | 6 | 7-17 | 4 |
| დინამო (15) | 9 | 2 | 3 | 4 | 10-19 | 3 |

შემდეგ ტურში ერთმანეთს ხვდებიან. პარასკევს, 1 ოქტომბერს: „დინამო" — „კაიზერსლაუტერნი", „დუისბურგი" — „კიოლნი"; შაბათს, 2 ოქტომბერს: „შტუტგარტი" — „აინტრახტი", „ლაიპციგი" — „ბორუსია" მიონხენგლადბახი, „ბაიერი" ლევერკუზენი — „ნიურნბერგი", „ბაიერნი" — „ჰამბურგი", „ფრაიბურგი" — „კარსლუე", „შალკე 04" — „ვერდერი", „ვატენშაიდი" — „ბორუსია" დორტმუნდი.

# საფრანგეთი

პარასკევს მორიგი მეათე ტური ჩატარდა, თუმცა მასში მომხდარ მოვლენებს წინა დღით დაედო საფუძველი, როცა საფრანგეთის ფედერაციამ განუცხადა „მარსელს", რომ სუპერთასზე „პარმასთან" და საკონტინენტთაშორისო თასზე „სან პაულუსთან" თამაშის უფლებას არ აძლევდა. „მარსელის" გულშემატკივრები სულ გადაირივნენ, მაგრამ მაინც ბლომად მოვიდნენ „ველოდრომზე", სადაც „მარსელი" „მეცს" ხვდებოდა. მოულოდნელად „მეცი" ეცა მასპინძელთა კარს და სამი გოლი გაუტანა. ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯმა ორი მარსელელი — მეკარე ფაბიან ბარტესი და მცველი ბაზი ბოლი გააძევა. ამას გულშემატკივრებმა ველარ გაუძლეს და 87-ე წუთზე შემოგარენი დაანგრიეს, შეიჭრნენ მოედანზე და მატჩი ჩაშალეს. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი იხმარა, ბევრი აატირა, თუმცა ორი კაცი მასაც დაუშავდა. შაბათსვე შეიკრიბა ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი და ანგარიში ძალაში დატოვა, თუმცა კიდევ აპირებს რაღაცით დაჯარიმებას და ამ კვირაში კვლავ შეიკრიბება.

ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ნანტი" — „კაენი" 1:0, „მონაკო" — „ანჟერი" 3:0, „ლე ავრი" — „სოშო" 1:0, „სენტ ეტიენი" — „სტრასბური" 0:0, „კანი" — „ლიონი" 1:0, „ბორდო" — „ლილი" 2:1, „პარი სენ-ჟერმენი" — „ოსერი" 4:0, „ლანი" — „მარტიგი" 1:1, „ტულუზა" — „მონპელიე" არ შემდგარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ (2) | 10 | 6 | 2 | 2 | 16-7 | 14 |
| ბორდო (4) | 10 | 6 | 2 | 2 | 15-7 | 14 |
| კანი (დ) | 10 | 5 | 4 | 1 | 16-12 | 14 |
| ნანტი (5) | 10 | 4 | 5 | 1 | 8-4 | 13 |
| მონაკო (3) | 10 | 5 | 2 | 3 | 14-8 | 12 |
| სტრასბური (8) | 10 | 2 | 8 | 0 | 12-8 | 12 |
| მარსელი (1) | 10 | 4 | 4 | 2 | 10-8 | 12 |
| სოშო (16) | 10 | 4 | 3 | 3 | 11-7 | 11 |
| მეცი (12) | 10 | 4 | 3 | 3 | 12-9 | 11 |
| ოსერი (6) | 10 | 4 | 3 | 3 | 9-10 | 11 |
| კაენი (11) | 10 | 4 | 2 | 4 | 8-12 | 10 |
| მარტიგი (დ) | 10 | 2 | 5 | 3 | 11-11 | 9 |
| სენტ ეტიენი (7) | 10 | 2 | 5 | 3 | 8-8 | 9 |
| ლიონი (14) | 10 | 3 | 2 | 5 | 10-13 | 8 |
| მონპელიე (10) | 9 | 3 | 2 | 4 | 8-12 | 8 |
| ლანი (9) | 10 | 2 | 3 | 5 | 6-8 | 7 |
| ანჟერი (დ) | 10 | 2 | 3 | 5 | 10-18 | 7 |
| ლე ავრი (15) | 10 | 1 | 4 | 5 | 6-13 | 6 |
| ლილი (17) | 10 | 0 | 5 | 5 | 7-13 | 5 |
| ტულუზა (13) | 9 | 0 | 5 | 4 | 3-12 | 5 |

მომდევნო ტურში, 2 ოქტომბერს, ერთმანეთს ხვდებიან: „ლილი" — „მარსელი", „მარტიგი" — „პარი სენ-ჟერმენი", „სტრასბური" — „ბორდო", „ოსერი" — „ტულუზა", „მონპელიე" — „სენტ-ეტიენი", „ლიონი" — „ნანტი", „კაენი" — „მონაკო", „მეცი" — „კანი", „სოშო" — „ლანი", „ანჟერი" — „ლე ავრი".

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრად დასაჯა „სეკურიტატეს" ყოფილი გუნდი ბუქარესტის „დინამო". ათი დღის წინ „პროგრესულთან" („წინსვლასთან") ფრედ (1:1) დამთავრებულ თამაშში „დინამოს" გატანილი ბურთი არ ჩაუთვალეს, რის შემდეგაც გუნდის უფროსობა მოედანზე შეიჭრა და თამაში სამი წუთით შეაფერხა. ფედერაციამ „დინამოს" 0:3 წაგება და შინ გასამართი ორი თამაშის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება მიუსაჯა, გუნდის მწვრთნელ ფლორიან ჰაჯის კი ორ თამაშზე დასწრება აუკრძალა.

ინგლისის „ლივერპულმა" ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი წააგო. გუნდის ხელმძღვანელობამ განტევების ვაცად გამოიყვანა ირლანდიელი ვეტერანი რონი ვილანი — იგი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში, ე.წ. ტრანსფერ-ლისტში ჩაწერა.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ბელფასტის „ლინფილდმა" შაბათს შინ მოუგო „ნიურის" 1:0

ზიმბაბვეს ნაკრებისა და „ლივერპულის" მეკარე ბრიუს გრობელაარი ფიგაროსავითაა. შაბათს გრობელაარმა ლონდონში ითამაშა და ბურთი გაუშვა, კვირას კი ჰარარეს სტადიონზე 50 ათასი კაცის თვალწინ კარი მარჯვედ დაიცვა. ზიმბაბვემ ეიჯენტ სავუს მიერ მე-3 წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვა, მაგრამ აშშ-ში გამგზავრების შანსი მაინც მცირე აქვს.

ეკვადორში მოკლეს ქვეყნის ჩემპიონის, კიტოს „ნასიონალის" მწვრთნელი, 49 წლის ექტორ მორალესი. მას ქურდები ავტომობილს ჰპარავდნენ, როცა სახლიდან გამოვარდნილი სასიკვდილოდ დალახვრეს.

# ფეხბურთის რუკასთან

ბელგიის ჩემპიონატის ფავორიტმა „ანდერლეხტმა" მეცხრე ტურში პირველად წააგო, თანაც დიდი ანგარიშით, მას



ბრიუს გრობელაარი

„ბრიუგემ" აჯობა 3:0, თუმცა პირველი ადგილი მაინც ვერ დააკარგვინა — 15 ქულით „ანდერლეხტი" ლიდერობს, „ბრიუგეს" კი 14 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა „ანტვერპენი", რომელსაც 12 ქულა აქვს. მან ბოლო ტურში „მოლენბეკი" დაამარცხა 1:0.

# ბერძნული ლეგიონი

ვაგრძელებთ ევროპის ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერთა წარდგენას. ამჯერად საბერძნეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე უცხოელებს გაგაცნობთ.

აქაც, ისევე როგორც პორტუგალიის ლეგიონერთა სიის გამოქვეყნებისას, გამოყოფილი არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღეს. აქვე გთავაზობთ ამ ქვეყნის საფეხბურთო რუკას



„პანათინაიკოსის" პოლონელი თავდამსხმელი კშიშტოფ ვარჟიხა

ა.ე.კ. ათენი: ფრანკ კლოპასი (აშშ), ტონი სავევსკი (მაკედონია), რეფიკ შაბანაჯოვიჩი (ჩერნოგორია), ზორან სლიშკოვიჩი (ხორვატია), დრაჰოპულოსი (შვეიცარია).

„ათინაიკოსი" ათენი: მიროსლავ ბაკო (პოლონეთი), დამირ სპიცა (ხორვატია), პატიკასი (ავსტრალია), კეცაი (ალბანეთი).

„აპოლონი" ათენი: იმრე კაცენბახი (უნგრეთი), მიროლიუბ კოვაჩევიჩი (სერბია), ილი შეჰუ (ალბანეთი).

„აპოლონი" კალამარია: სოკოლ კუშტა (ალბანეთი), რადე ტოზიჩი (სერბია), სევიჩევიჩი (ჩერნოგორია).

„არისი" სალონიკი: ივანი (ბრაზილია), ლონჩარი, მილოიევიჩი (სერბია).

„დოქსა" დრამა: მიროსლავ ალექსიჩი, ზელიკო ლეკოვიჩი, კოიესიჩი (სერბია).

„ედესაიკოსი": ხრისტო კოლევი (ბულგარეთი), სასა შკარა, რაპლევიჩი (სერბია).

„ირაკლისი" სალონიკი: პრედრაგ ერაკი, ივან იოვანოვიჩი, პეტრანოვიჩი (სერბია).

„ლარისა": პაულუ და სილვა, მარსელო იზა (ბრაზილია), მილო (ალბანეთი), სტოიკა (რუმინეთი).

„ლევადიაკოსი" ლევადია: ანტო იაკოვლევიჩი, იანუში (ბოსნია), კოიჩი (სერბია).

„ნაუსა": იველინ პენევი (ბულგარეთი), ბრანისლავ ჟივკოვიჩი (სერბია).

„ოლიმპიაკოსი" პირეოსი: დანიელ ბატისტა (ჰოლანდია), ბენტ კრისტენსენი (დანია), ფოტო სტრაკოშა (ალბანეთი), ოლეგ პროტასოვი (უკრაინა), რეფენსი (ავსტრალია).

ო.ფ.ი. ირაკლიონი: დანუტ ლუპუ (რუმინეთი), იასმინკო ველიჩი, ჯუგანოვიჩი (სერბია).

„პანათინაიკოსი" ათენი: ბორელი (არგენტინა), ლეონიდას ხრისტოდულუ, კალანცისი (ავსტრალია), იოზეფ ვანძიკი, კშიშტოფ ვარჟიხა (პოლონეთი).

„პანახაიკი" პატრა: ამაეჩი ოტიზი (ნიგერია), მარისიჩი, კონცელოვიჩი (სერბია).

„პანიონიოსი" ათენი: მილინკო პანტიჩი, ვერმეზოვიჩი (სერბია), რუპნიკოვიჩი (ხორვატია).

პ.ა.ო.კ. სალონიკი: პტიდი (გერმანია), ლუჰოვი (სლოვაკეთი), მაღდი ტოლბა (ეგვიპტე).

„ქსანთი": ვერესიანო მარსელო (ბრაზილია), ილია მიტევი (ბულგარეთი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# კამპომანესის შავი დღე



ლონდონში, გასული საუკუნის ბოლოს გრაფ პიტერ სავოის მიერ აგებულ სასტუმრო „სავოიში" გრძელდება „ტაიმსის მსოფლიოს ჩემპიონატი". მე-8 პარტიაში შავი ფიგურებით მოთამაშე გარი კასპაროვს საქმე ცუდად ჰქონდა, მაგრამ შეუვალობის, ოსტატობის და ნაიჯელ შორტის შეცდომის წყალობით 41-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია. პრეს-კონფერენციაზე შორტმა განაცხადა, რომ შეხვედრის განმავლობაში გამარჯვებასთან ასე ახლოს იგი ჯერ არ ყოფილა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მეშვიდე პარტიის გარდა, რომელიც პრეტენდენტმა ჰირწმინდად წააგო, სხვა პარტიებში შორტი ზედმეტი ნერვიულობით გამოწვეული სტრატეგიული შეცდომების გამო დამარცხდა. ამასობაში, მისმა ამერიკელმა მწვრთნელმა ლუბომირ კავალეკმა ქუდი დაიხურა და ინგლისელი დიდოსტატის ბანაკი მიატოვა. ამ ფაქტის ირგვლივ ნაიჯელმა მხოლოდ ისა თქვა, საგანგაშო არაფერიაო. კასპაროვი კი როგორც სჩანს მეტისმეტად გალაღდა, რადგან ჟურნალისტებთან ელცინსა და ხასბულატოვზე გააბა საუბარი. მე-9 პარტიაში 52-ე სვლაზე გარიმ კვლავ დაამარცხა მეტოქე. ანგარიშია 7:2 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

ამსტერდამშიც ორი პარტია გაიმართა. 11-ში ანატოლი კარპოვმა და იან ტიმანმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, მხოლოდ 11 სვლა შეასრულეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა 12-ე პარტიაც. ახლა ანგარიშია 7:5 კარპოვის სასარგებლოდ, მაგრამ შესაძლოა იგი ალარ შეიცვალოს. შეხვედრის მეორე ნახევარში, მეტოქეები ჰოლანდიიდან ომანში უნდა გადაბარგებულიყვნენ, მაგრამ ამ ქვეყნის სულთანმა განაცხადა, საპრიზო ფონდისთვის სამყოფი ფული არ მაქვსო. როგორც სჩანს სულთანს ამის შესახებ ფიდე ადრეც გაუფრთხილებია, მაგრამ მისი პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი მხოლოდ ახლა გამოტყდა. თავისი წილი აღთქმული თანხა ვერც ჰოლანდიამ გადაიხადა და მხოლოდ 100 ათასი შვეიცარული ფრანკი გაიღო, არადა თურმე თუ საპრიზო ფონდი ერთი მილიონი მაინც არ არის, ისე მატჩი ოფიციალურადაც კი არ ჩაითვლება. როგორც ჩანს განდგომილ კასპაროვსა და შორტზე გაბოროტებულმა კამპომანესმა ის ტოტი მოჭრა, რომელზეც იჯდა, თუმცა ჯერჯერობით იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს ყველაფერს ორი ოქტომბრისთვის მოვაგვარებო. ვარაუდობენ, რომ თუ მატჩი გაგრძელდა, ეს ან ამსტერდამში, ან ბუდაპეშტში მოხდება.

ჩოგბურთი

# საკუთარმა კორტებმაც ვერ უშველათ

DAVIS CUP by NEC

ვინ იფიქრებდა, რომ დევისის თასის გათამაშების ორივე ნახევარფინალურ მატჩში ასე სწრაფად, უკვე შაბათს გაირკვეოდა გამარჯვებულები და საკვირაო თამაშებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნებოდა. მართლაც, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ საპატიო ჯილდოს ოთხგზის მფლობელები შვედი ჩოგბურთელები საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდებოდნენ მათთან ბორის ბეკერის გარეშე ჩასულ გერმანელებთან. მაგრამ სწორედ ასე მოხდა. მასპინძელთა მეორე ნომრის მაგნუს გუსტაფსონის წაგება უძლიერესთა ათეულში შემავალ მიხაელ შტიხთან, ასე თუ ისე დაგეგმილიც იყო და შეხვედრის საბოლოო შედეგისთვის ჯერ არაფერს ნიშნავდა. სამაგიეროდ, სტეფან ედბერგის (№5) მოულოდნელმა მარცხმა მარკ-კევინ გელნერთან, რომელიც მხოლოდ 33-ეა, მასპინძელთა გუნდი კატასტროფის წინაშე დააყენა. მეოთხე ხელში ანგარიში ედბერგს მიყავდა — 5:2 და სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და საბოლოოდ ტაიბრეიკზე წააგო ეს სეტიც და მთელი ორთაბრძოლაც.

შაბათს, წყვილთა შეხვედრაში ანდერს იარიდი და ჰენრიკ ჰოლმი, რომელთაც აქამდე დევისის თასზე წაგება არ ჰქონდათ, ვერაფერს გახდნენ ალმავლობით მოთამაშე შტიხ-პატრიკ კიუნენის დუეტთან. ამით მატჩის საერთო ანგარიში გახდა 3:0 გერმანელთა სასარგებლოდ და მათ ვადამდე მოიპოვეს ფინალის საგზური. კვირას სტუმრებმა დარჩენილი ორი შეხვედრაც მოიგეს და გაუგონარი მარცხი აგემეს შვედებს — 5:0.

დეკემბრის დასაწყისში ფინალურ მატჩში გერმანიის ნაკრები საკუთარ მოედანზე დიუსელდორფში ან ჰანოვერში მიიღებს ავსტრალიელ ჩოგბურთელებს, რომლებმაც ასეთივე ანგარიშით და ასევე სტუმრად ინდოელებს სძლიეს. როგორც კი აზიელმა სპორტსმენებმა მასპინძლის უფლებით, სათამაშოდ ბალახის მოედანი აირჩიეს, ავსტრალიელთა კაპიტანმა ნილ ფრეზერმა, რომელიც 24 წელია უცვლელად თავკაცობს ნაკრებს, უმალ საპასუხო სვლა გააკეთა და გუნდში მიწის კორტის სპეციალისტის რიჩი ფრომბერგის ნაცვლად ნაკლებ რეიტინგიანი, ოღონდ ბალახზე თამაშის ოსტატი ჯეისონ სტოლტენბერგი ჩარიცხა. ამ ნაბიჯმა სრულად გაამართლა — პირველივე მატჩში ავსტრალიელმა მასპინძელთა ოცი წლის ლიდერი ლეანდერ პაესი გაამწარა სამ პარტიაში — 6:3, 7:6, 6:2. ამასთან, გამოცდილმა მწვრთნელმა ჩანდიგარხში დიდი სიცხისა და მაღალი ტენიანობის გამო, სპორტსმენთა ძალებიც რაციონალურად გაანაწილა და საქმე ისე მოაწყო, რომ არც ერთს ზედიზედ ორი თამაში არ მოსწეოდა. ორი ვეტერანის, 32 წლის რამეშ კრიშნანისა და მასზე ორი წლით უმცროსი უელი მაზურის შეხვედრაშიც აშკარა უპირატესობა სტუმრის მხარეს იყო — 6:2, 6:0, 6:4.

ამ მატჩშიც ყველაფერი პრაქტიკულად პირველ დღესვე გაირკვა. შაბათს მსოფლიოს საუკეთესო წყვილს მარკ ვუდფორდსა და ტოდ ვუდბრიჯს არ გასჭირვებიათ მასპინძელთა ნაუცბათევად შეკოწიწებული პაეს-კრიშნანის დუეტის დამარცხება — 6:2, 7:6, 6:1.

ავსტრალიელები ორმოცდამესამედ გავიდნენ ფინალში. სადღეისოდ მათ აქტივშია 26 გამარჯვება და ამ მაჩვენებლით ოდნავ ჩამორჩებიან ამერიკელებს, რომლებიც 30-ჯერ ფლობდნენ ვერცხლის სასალათეს. გერმანელთა მიღწევა უფრო მოკრძალებულია — მეოთხე ფინალი და მხოლოდ ორი მოგება.

თასის მფლობელი ამ ტურნირის საპრიზო ფონდიდან, რომელიც 2 მილიონ 200 ათას დოლარს შეადგენს, გარდამავალ თასთან ერთად ჯილდოდ 347 ათასს მიიღებს.

ფორმულა-1

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# პროსტი მეოთხედ!

ალენ პროსტი მსოფლიოს ჩემპიონია! ეს გუშინწინ, ეშტორილის ავტოდრომზე, პორტუგალიის „დიდი პრიზის" გათამაშებისას გადაწყდა. თუმცა, სულ ცოტა ოთხი კვირით ადრე მაინც უნდა შემდგარიყო „პროფესორის" ბენეფისი. მაგრამ ხან ძრავამ უღალატა, ხანაც საკუთარი მექანიკოსების უნიათობამ შეუშალა ხელი. ეშტორილზე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. საერთოდ, ეს ტრასა ფრანგს კარგად აქვს დაცდილი: რვა რბოლიდან მან სამში გაიმარჯვა, ორჯერ მეორე ადგილზე გავიდა და ერთხელაც მესამეზე.

კვირის რბოლა ბოლო შანსი იყო პროსტის თანაგუნდელ დეიმონ ჰილისთვის და ბრაზილიელი აირტონ სენასთვის. გამარჯვების შემთხვევაში მათ კიდევ რჩებოდათ ჩემპიონობის იმედი, ოღონდ ერთი პირობით — თუკი „პროფესორი" ქულების გარეშე დარჩებოდა.

ეშტორილი, სხვა ტრასებთან შედარებით, ნაკლებად ჩქაროსნულია. ამდენად, ის თვალშისაცემი უპირატესობა, რომელიც ლიდერის „უილიამსს" ვთქვათ, მონცაზე ჰქონდა, ამჯერად აღარ იგრძნობოდა და სხვებსაც, კერძოდ „მაკლარენსაც" და „ბენეტონსაც" გაუჩნდათ მოგების შანსი. „მაკლარენის" შეფს რონ დენისს ჟურნალისტებმა არაერთხელ „შეახსენეს" დელიკატურად, რომ მას გუნდში მესამე პილოტიც ჰყავს: ფინელი მიკა ჰაკინენი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება „ინდიკარიდან" მოსულ მაიკლ ანდრეტის. მაგრამ დენისი ვერ შეელია ამერიკელს და ჯიუტად არ ცვლიდა მას. არადა, ანდრეტი ტრასაზე ვერაფრით ეხმარებოდა „უილიამსისა" და „ბენეტონის" შეხმატკბილებული დუეტების წინაამდეგ ეულად დარჩენილ სენას.



მიხაელ შუმახერი
(გერმანია)

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ხიურტ-ხერმულხაიმში. უცოლოა. მეგობარ ქალ კორინასთან ერთად ცხოვრობს კერპენსა (გერმანია) და მონტე-კარლოში. სიმაღლე 174 სმ, წონა 67 კგ. „ფორმულაში" შუმახერის დებიუტი 1991 წელს ბელგიის „გრან-პრის" გათამაშებისას შედგა „ჯორდანის" გუნდში. 22 წლის პილოტი კვალიფიკაციაში ნაჩვენები VII შედეგით მაშინვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ისე მოაწონა ყველას თავი, რომ მასზე უმალ გაჩაღდა ნადირობა. ყველას „ბენეტონმა" აჯობა და თავისკენ გადაიბირა ამომავალი ვარსკვლავი.

შარშან, პირველივე სრულ ჩემპიონატში, გერმანელმა ვუნდერკინდმა 53 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და თვით აირტონ სენასაც კი გაასწრო. შარშანვე სწორედ ბელგიაში მოიგო თავისი პირველი „გრან-პრი".

„ბენეტონთან" შუმახერის წლევანდელი კონტრაქტი სამი მილიონი დოლარი „ღირს". სადღეისოდ მის ანგარიშზეა 36 რბოლა, ორი მოგებული „გრან-პრი" და 109 ქულა.

როგორც იქნა, დენისმა გარისკა და ეშტორილზე საჯი ითოდ ჰაკინენი გამოუშვა. ალბათ, ძალიანაც ინანა, რომ ეს უფრო ადრე არ მოიმოქმედა. შაბათის კვალიფიკაციაში 25 წლის ფინელის მიერ ნაჩვენები მესამე დრო უდიდესი სენსაცია იყო. „მომავლის ჩემპიონმა", როგორც ჟურნალისტებმა „მონათლეს" ჰაკინენი, კვირას სტარტიც ჩინებულად აიღო, თვით პროსტიც კი მისწი-მოსწია და წინ გაჭრილ ფერარელ ჟან ალეზისთან ერთად სათავეში მოექცა პელეტონს, თუმცა, „დებიუტანტს" (ეს ფინელის 31-ე „გრან-პრი" იყო) სენამ მალე შეახსენა შიდაგუნდური სუბორდინაციის დაცვის აუცილებლობა და ადვილადაც აუარა გვერდი.

ბოლო სამი ეტაპის გმირი ჰილი ამჯერად პირველი კი იდგა სტარტზე, მაგრამ რბოლის წინა საცდელი წრის წინ მას „რენოს" ძრავამ უმტყუნა, დროზე არ დაიქოქა და წესების თანახმად ბრიტანელს ბოლო პოზიციიდან მოუხდა სტარტის აღება. დეიმონი თავქუდმოგლეჯილი ცდილობდა ლიდერების დაწევას, ოთხჯერ საუკეთესო დროც აჩვენა და მეოცე წრეზე უკვე ხუთეულში იყო.

კარგა ხანს ალეზის „ფერარი" ლიდერობდა, მაგრამ ფრანგი რისკს მოერიდა და ორჯერ შეცვალა საბურავები, მაშინ, როდესაც მისმა კონკურენტებმა თითოჯერ შეიარეს ბოქსებში. ფინიშთან ალეზი მეოთხე იყო და სატურნირო ცხრილში სამი საფეხურით მაღლა აიწია.

მას შემდეგ, რაც პროსტი და ჰილი მონაცვლეობით შევიდნენ ბოქსებში, 30-ე წრეზე ლიდერობა შუმახერმა იგდო ხელთ. უკვე მერამდენედ ვერ მიაღწია ფინიშამდე სენამ, ისე რომ ნახევარი გზაც არ გაუვლია. მას ამჯერადაც ძრავა აუბოლდა. ვერც ჰაკინენმა გაძლო: ერთ-ერთ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და „მაკლარენი" ისეთი ძალით შეასკდა დამცავ თეჯირს, რომ უკან გამოსროლილი მეორე მხარესაც მიენარცხა და სანახევროდ დანგრეული შუა გზაზე გაეხირა.

ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული 34 წლის გერჰარდ ბერგერი. 4 წლის წინ ავსტრიელს ისეთი ავარია შეემთხვა, რომ უსაფრთხოების ზესაიმედო სისტემა რომ არა, დღეს ცოცხალი არ იქნებოდა. არანაკლებ საშინელებას გადაურჩა იგი ეშტორილში. მისი „ფერარი" ბოქსებიდან გამოსვლისას მოსრიალდა, მართვა დაკარგა და პირდაპირ გადაჭრა გზა. ბედად, 300 კმ სიჩქარით მიმავალმა ორმა პილოტმა მოახერხა მისთვის გვერდის აქცევა, თორემ ამ საშინელი სიჩქარით შეჯახება, უთუოდ ტრაგიკულად დამთავრდებოდა. „ფერარი" მთელი ძალით შეასკდა ბარიერს და იოლად გადარჩა.

ლიდერები კი დუელს აგრძელებდნენ. ნახევარზე მეტი, მთელი 40 წრე პროსტი კუდში მისდევდა შუმახერს, რამდენჯერმე გასწრებაც სცადა, მაგრამ ამაოდ. გერმანელმა მთელი რბოლა ტაქტიკურად ბრწყინვალედ წარმართა და ერთხელაც არ მისცა მეტოქეს დაწინაურების საშუალება. თუმცა არც ფრანგს მოუკლავს მაინცდა-



მაინც თავი გასასწრებად, რადგან საჩემპიონოდ მეორე ადგილიც ყოფნიდა. „პროფესორმა" საწადელს კი მიაღწია, მაგრამ მაყურებელთა და ჟურნალისტთა გულისწყრომა დაიმსახურა ზედმეტად პრაგმატული საქციელისთვის. მან გააკეთა ზუსტად ის, რაც ესაჭიროებოდა და არა ის, რასაც მისგან მოელოდნენ.

ასეა თუ ისე, 38 წლის ფრანგი პილოტი თოთხმეტწლიანი კარიერის მანძილზე მეოთხედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო მძღოლი. მას ეს უდიდესი წარმატება პირველებმა, როგორც ყოველთვის ემოციურმა შუმახერმა და ჰილმა მიულოცეს და შამპანურითაც გვარიანად გაწუწეს.

ალენ პროსტი დაიბადა 1955 წლის 24 თებერვალს სენ-შამონიში. ფორმულა-1-ში მისი დებიუტი 1980 წელს არგენტინის „დიდი პრიზის" გათამაშებისას შედგა. დღემდე სამივე ტიტული — 1985, 86 და 89 წლებში „პროფესორმა" „მაკლარენის" გუნდში მოიპოვა. მონაწილეობდა 197 რბოლაში, 51 მოიგო. დაგროვილი აქვს 786,5 ქულა. ამ მაჩვენებლებით პროსტი ბევრად უსწრებს უახლოეს მდევარს — სენას. ხუთი დღის წინ პროსტმა განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო სეზონია. პატივმოყვარე ფრანგს უთუოდ დაუმარცხებლად წასვლა სურს, თუმცა ბევრს ეს სიტყვები სერიოზულად არც მიუღია და გაისადაც აქვთ მისი ხილვის იმედი.

პორტუგალიაში კი პირველად გაიმარჯვა „ბენეტონმაც" და გერმანელმა პილოტმაც.

გია ახალაძე

პორტუგალიის „გრან-პრის" შედეგები (71 წრე. საერთო სიგრძე 308,85 კმ.) საუკეთესო შედეგი ერთ წრეზე (4350 მ) აჩვენა დეიმონ ჰილმა — 209,19 კმ-სთ. 1. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი") — 1:32.46,309; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი. „უილიამსი") — ჩამორჩა 0,982 წამით; 3. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — 8,206; 4. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 1 წთ. 07,605; 5. კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ზაუბერი") — 1 წრით; 6. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ლიჟიე") — 1 წრით; 7. იურკი იარვი ლეჰტო (ფინეთი, „ზაუბერი"); 8. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი"); 9. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, „მინარდი"); 10. ფილიპ ელიო (საფრანგეთი, „ლარუსი"); 11. ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლარუსი"); 12. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ტირელი"); 13. რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, „ჯორდანი"); 14. ლუკა ბადოერი (იტალია, „ლოლა"); 15. დერეკ უორვიკი (დიდი ბრიტანეთი, „ფუტუორკი"); 16. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბენეტონი").

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი" — 149; 2. „ბენეტონი" — 72; 3. „მაკლარენი" — 60; 4. „ფერარი" — 23; 5. „ლიჟიე" — 22; 6. „ლოტუსი" — 12; 7. „ზაუბერი" — 12; 8. „მინარდი"—7; 9. „ფუტუორკი"—4; 10. „ლარუსი"—3.

| | | სამხ. აფრიკა | ბრაზილია | ევროპა | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი „უილიამსი" საფრანგეთი | 10 | | 4 | 10 | 10 | 3 | 10 | 10 | 10 | 10 | | 4 | | 6 | | | 87 |
| 2 | დეიმონ ჰილი „უილიამსი" დიდი ბრიტანეთი | | 6 | 6 | | | 6 | 4 | 6 | | | 10 | 10 | 10 | 4 | | | 62 |
| 3 | აირტონ სენა „მაკლარენი" ბრაზილია | 6 | 10 | 10 | | 6 | 10 | | 3 | 2 | 3 | | 3 | | | | | 53 |
| 4 | მიხაელ შუმახერი „ბენეტონი" გერმანია | | 4 | | 6 | 4 | | 6 | 4 | 6 | 6 | | 6 | | 10 | | | 52 |
| 5 | რიკარდო პატრეზე „ბენეტონი" იტალია | | | 2 | | 3 | | | | 4 | 2 | 6 | 1 | 3 | | | | 21 |
| 6 | ჟან ალეზი „ფერარი" საფრანგეთი | | | | | | 4 | | | | | | | 6 | 3 | | | 13 |
| 7 | მარტინ ბრანდლი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | | | | 4 | | 1 | 2 | 2 | | | 2 | | | 1 | | | 12 |
| 8 | ჯონი ჰერბერტი „ლოტუსი" დიდი ბრიტანეთი | | 3 | 3 | | | | | | 3 | | | 2 | | | | | 11 |
| 9 | მარკ ბლანდელი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | 4 | 2 | | | | | | | | 4 | | | | | | | 10 |
| 9 | გერჰარდ ბერგერი „ფერარი" ავსტრია | 1 | | | | 1 | | 3 | | | 1 | 4 | | | | | | 10 |

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 29 — 2-3 ოქტომბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი** | | | |
| 1 | შტუტგარტი — აინტრახტი | 1:1, 2:2 | 3 4 3 | 1X2 |
| 2 | დ. დრეზდენი — კაიზერსლაუტერნი | 1:3, 0:2 | 3 5 2 | 1X |
| 3 | ბაიერნი — ჰამბურგი | 4:0, 1:3 | 6 3 1 | 1 |
| 4 | დუისბურგი — კიოლნი | — | 4 4 2 | 1X |
| 5 | შალკე — ვერდერი | 0:0, 0:2 | 2 3 5 | X2 |
| 6 | ვატენშაიდი — დორტმუნდი | 1:3, 0:6 | 2 3 5 | X2 |
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი** | | | |
| 7 | კაენი — მონაკო | 1:0, 4:2 | 2 4 4 | X2 |
| 8 | ანჟერი — ლე ავრი | — | 6 2 2 | 1 |
| 9 | ლილი — მარსელი | 2:0, 4:1 | 2 2 6 | 2 |
| 10 | სტრასბური — ბორდო | 1:1, 0:1 | 4 2 4 | 12 |
| 11 | მონპელიე — სენტ-ეტიენი | 1:0, 1:2 | 3 5 2 | 1X |

შემოსული ვარიანტების რაოდენობა 6012

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — ალმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტოს სამმართველოში, ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე. რუსთავში — ყოველი კვირის ოთხშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალურ ფოსტაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 29 სექტემბერი | კორკ სიტი — გალათასარაი | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | ლევსკი — რეინჯერსი | 2,5 | 2,0 | 2,1 |
| | ბარსელონა — დინამო (კ) 0:2 | 1,5 | 1,9 | 4,6 |
| | აეკ — მონაკო | 2,1 | 2,0 | 2,5 |
| | მაკაბი — ტორპედო | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ბეშიქთაში — კოშიცე | 1,3 | 2,2 | 5,7 |
| | გკს — ბენფიკა | 2,5 | 2,0 | 2,1 |
| | ვიტესი — ნორვიჩი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ატლეტიკო — პართსი | 1,3 | 2,2 | 5,7 |
| | ვალენსია — ნანტი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ეინდჰოვენი — კარლსრუე | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | დანდი იუნაიტედი — ბრონდბიუ | 1,4 | 2,1 | 5,0 |
| | რაპიდი (ბ) — ინტერი | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ლოკომოტივი — იუვენტუსი | 3,1 | 2,0 | 1,8 |
| | ვლადიკავკაზი — დორტმუნდი | 2,5 | 2,0 | 2,1 |
| | ოსერი — ტენერიფე | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | მარიტიმუ — ანტვერპენი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | კალიარი — დინამო (ბ) | 1,1 | 2,6 | 7,5 |
| 2-3 ოქტომბერი | სტრასბური — ბორდო | 1,7 | 2,0 | 3,4 |
| | ლიონი — ნანტი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | მეცი — კანი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ლივერპული — არსენალი | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | შეფილდ უენს. — მანჩესტერ იუნ. | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ვესტ ჰემი — ჩელსი | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | შტუტგარტი — აინტრახტი | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ბაიერნი — ჰამბურგი | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | ვატენშაიდი — დორტმუნდი | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | ატლეტიკო — რეალი (მადრიდი) | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | ოვიედო — სევილია | 2,2 | 2,0 | 2,4 |
| | ოსასუნა — ბარსელონა | 3,1 | 2,0 | 1,8 |
| | ატალანტა — სამპდორია | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | იუვენტუსი — ტორინო | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | მილანი — ლაციო | 1,15 | 2,5 | 7,5 |
| | ნაპოლი — ინტერი | 2,3 | 2,1 | 2,2 |
| | პარმა — ფოჯა | 1,3 | 2,2 | 5,7 |
| | რომა — კრემონეზე | 1,4 | 2,1 | 5,0 |

### წინა ტურის შედეგები:

25-26 სექტემბერი: ჩელსი — ლივერპული 1:0, კოვენტრი — ლიდსი 0:2, იფსვიჩი — ტოტენჰემი 2:2, მიონხენგლადბახი — შტუტგარტი არ ჩატარდა, დორტმუნდი — ბაიერნი 1:1, კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი 3:2, სევილია — ლა კორუნია 0:0, რაიო ვალეკანო — ბილბაო 1:2, ხიხონი — ატლეტიკო 1:1, კრემონეზე — მილანი 0:2, კალიარი — ლაციო 4:1, რეჯანა — ფოჯა 0:0, რომა — ატალანტა 2:1, სამპდორია — პარმა 1:1, ნაპოლი — უდინეზე 2:1, ტორინო — ჯენოა 2:0

## შედეგთა დაფა

### ოლიმპიზმი

მონტე-კარლო. ხუთშაბათი, 23 სექტემბერი. სოკ-ის 101-ე სესია. 2000 წლის XXVII ოლიმპიადის მასპინძლის არჩევნები. ხმათა დამთვლელი — კება მბაიე (სენეგალი). აბსოლუტური უმრავლესობა — 45 ხმა

პირველი წრე: პეკინი 32, სიდნეი 30, მანჩესტერი 11, ბერლინი 9, სტამბოლი 7 (სულ 89)

მეორე წრე: პეკინი 37, სიდნეი 30, მანჩესტერი 13, ბერლინი 9 (სულ 89)

მესამე წრე: პეკინი 40, სიდნეი 37, მანჩესტერი 11 (სულ 88)

მეოთხე წრე: სიდნეი 45, პეკინი 43 (სულ 88). გაიმარჯვა სიდნეიმ

### ჩოგბურთი

ტოკიო. „ნიჩერაის" ქალთა საერთაშორისო ტურნირი. საპრიზო ფონდი — 375 ათასი დოლარი

ნახევარფინალები (25. IX): ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა) — არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, განთესვის ნომერი 1) 6:3, 6:4; კიმიკო დატე (იაპონია) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:1, 7:6

ფინალი (26. IX): კეტცერი — დატე 6:3, 6:2

გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა, 2) მეორე წრეში წააგო მარიან ვერდელთან (აშშ) 3:6, 6:3, 5:7. 16 თვის წინ იტალიის ღია პირველობაში გამარჯვების შემდეგ მას ტურნირი არ მოუგია

### სქვოში

ქალთა World Open. იოჰანესბურგი (სამხრეთი აფრიკა)

ფინალი (25. IX): მიშელ მარტინი (ავსტრალია, განთესვის ნომერი 1) — ლიზ ერვინი (ავსტრალია, 2) 9:2, 9:2, 9:1

ვაჟთა Dubai Classic. დუბაი (არაბთა გაერთიანებული საამიროები)

ფინალი (25. IX): ჯანშირ ხანი (პაკისტანი, 1) — როდნი მარტინი (ავსტრალია) 15:7, 15:8, 15:7

მიშელ და როდნი მარტინები და-ძმა არიან

### ავსტრალიური ბურთაობა

მელბურნი, კრიკეტის მოედანი. შაბათი, 25 IX. ლიგის დიდი ფინალი. 96 ათასი მაყურებელი

„ესენდონ ბეიბი ბომერზი" 133 „კარლტონ ბლუზი" 89. ესენდონმა ტიტული მეთხუთმეტედ მოიგო, რითაც კარლტონის შედეგი გაიმეორა

### გოლფი

ბელფრი, შიდა ინგლისი. გოლფ-კლუბი. 24-26 IX. ბრაბაზონის გზა. აშშ-ისა და ევროპის სამატჩო შეხვედრა — „რაიდერის თასის" 30-ე გათამაშება. 27 500 მაყურებელი

ევროპა: ბრენდან გალაპერი (კაპიტანი); იენ ვუზნემი, სემ ტორენსი, ბარი ლეინი, კოლინ მონტგომერი, პიტერ ბეიკერი, მარკ ჯეიმზი (ყველა — ბრიტანეთი), იოახიმ ჰაგმანი (შვედეთი), სევერიანო ბალესტეროსი (ესპანეთი), კონსტანტინო როკა (იტალია), ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია), ხოსე მარია ოლოსაბალი (ესპანეთი), ნიკ ფალდო (ბრიტანეთი)

აშშ: ტომ უოტსონი (კაპიტანი); ფრედ კაპლზი, ლანი უოტკინსი, ჩიფ ბეკი, ლინ ჯენსენი, კორი პეივინი, პეინ სტიუარტი, ჯონ კუკი, ჯიმ გალაჰერ-უმცროსი, დეივის ლავ-მესამე, ტომ კიტი, რეიმონ ფლოიდი, პოლ ეიზინგერი

ევროპა — ამერიკა

პარასკევი. ორი ბურთით 2:2; ოთხი ბურთით 2,5:1,5. სულ 4,5:3,5

შაბათი. ორი ბურთით 3:1; ოთხი ბურთით 1:3. სულ 8,5:7,5

კვირა. ერთეულები 4,5:7,5. სულ 13:15 (საბოლოო ანგარიში)

### მოტორბოლი

„ესპანეთის გრან-პრი" — მსოფლიო პირველობის ბოლო, XIV ეტაპი. 25-26 IX. ხარამას მოტოდრომი, მადრიდი

500 კუბური სანტიმეტრი. შაბათი. წინასწარი რბოლა: 1. ჯონ კუზინსკი (აშშ, „კავასაკი"); 2. ალეშანდრუ ბარუში (ბრაზილია, „სუძუკი"); 3. კევინ შვონცი (აშშ, „სუძუკი). კვირა. „გრან-პრი": 1. ბარუში (პირველი „გრან-პრი") 44.22,944; 2. დარელ ბიტი (ავსტრალია, „ჰონდა"); 3. შვონცი. ჩემპიონია შვონცი — 248 ქულა (4 პირველი, 3 მეორე და 4 მესამე ადგილები). კონსტრუქტორებში გაიმარჯვა „იამაჰამ" (269 ქულა)

250 კუბური სანტიმეტრი (დისტანცია — 103,950 კმ). წინასწარი რბოლა; 1. ლორის კაპიროსი (იტალია, „ჰონდა"). „გრან-პრი": 1. ტეცუა ჰარადა (იაპონია, „იამაჰა") 43.12,677;... 5. კაპიროსი;... ჩემპიონი: ჰარადა — 197 (4,2,1). კონსტრუქტორებში — „ჰონდა" (307)

125 კუბური სანტიმეტრი (დისტანცია 100,100 კმ). „გრან პრი": 1. რალფ ვალდმანი (გერმანია, „აპრილია") 44.12,494;.. 8. დირკ რაუდისი (გერმანია, „ჰონდა");.. ჩემპიონი: რაუდისი — 280 (9,1,1); ვიცე-ჩემპიონი: კაზუტო საკატე — 266. კონსტუქტორებში: „ჰონდა" (345)

### მძლეოსნობა

ბერლინის მე-20 მარათონი. კვირა, 26 IX. ვაჟები: 1. კოსკილ იავა (სამხრეთი აფრიკა) 2:10.57. ქალები: 1. რენატა კოკოვსკა (პოლონეთი) 2:26.20

ამსტერდამის მარათონი. კვირა, 26 IX. ვაჟები: 1. კენიჩი სუძუკი (იაპონია) 2:11.56. ქალები: 1. იოსიკო იამამოტო (იაპონია) 2:29.12

## საჯილდაო

ცხრა კვირის განმავლობაში
ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის
ცხრა სახეობის შესახებ

კითხვები წრეობრივად რთულდება. მეექვსე წრის კითხვების გამოცნობა ექვს ქულად ფასდება.

მეექვსე წრე

(1) რომელმა ქალაქმა (დაბებმა) უმასპინძლეს ორ-ორ ოლიმპიადას? რომელ წლებში?
(2) მსოფლიოს რამდენი მოჭადრაკე კაცი ჩემპიონი ჰყოლია? მათგან ვინაა ცოცხალი?
(3) რა სიმაღლეზე ჰკიდია კალათბურთის კალათი? რატომ?
(4) სად იმართება რაგბის „ქარრის თასის" გათამაშება? რომელი გუნდები მონაწილეობენ?
(5) როდის გაიმართა ნჰლ-ისა და სსრკ-ის ჰოკეისტთა პირველი სერია? როგორ დასრულდა მისი ამერიკული და ევროპული ნახევრები?
(6) ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში რომელი დამთავრდა უმცირესი ანგარიშით? როდის? ვინ ვის სძლია? გოლი ვინ და როგორ გაიტანა?
(7) მძლეოსნობის რომელ სახეობაში შეცვალეს იარაღი ბოლო ხანებში? რატომ?
(8) მობურთალთა რომელი ქართული გუნდი დაალალატა იური კლიმოვამა? როდის და ვის წინააღმდეგ? რა ჩაიდინა?
(9) რა მიმართებაა ჩოგბურთის „დიდი სლემის" პროგრამასა და დევისის თასის გამარჯვებულთა ვინაობას შორის?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«ლომბარდი»
თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი
Commercial Bank
MB
მინაგობანკი MINAGOBANK
სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

# გამარჯვებული სიდნეი



ახლა წინიხწინა „სარბიელისეული" წინასწარმეტყველება, 2000 წლის XXVII ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქთა შეჯიბრებაში ავსტრალიის სიდნეი გაიმარჯვებსო. როგორც წინა „სარბიელშიც" ვწერდით, ხუთშაბათს ღამით მონტე-კარლოში გამოცხადდა, რომ სოკ-მა ოლიმპიადის დედაქალაქად ახალი სამხრეთი უელსის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი აირჩია.

არადა, არჩევანსა და მის გამოქვეყნებას წინ დრამატული მოვლენები უძღოდა. ვიდრე მონტე-კარლოში სოკ-ის 101-ე სესია გაიხსნებოდა, ავსტრალიური განაცხადი ფავორიტად მიაჩნდათ, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიმპათიები უფრო პეკინის (უცხოურად — ბეიჯინის) მხარეზე იქნებოდა და აი, რატომ:

პეკინი, მართალია, უძველესი კულტურული ქვეყნის დედაქალაქია და კაპიტალიზმსაც მიხრწნილი, 89 წლის დენ სიაოპინის თავკაცობით ბარემ 14 წელია ნერგავს, მაგრამ განვითარებულ დასავლურ სამყაროს, რალა თქმა უნდა, ჯერაც ვერ დაპფერებია. თუკი პეკინს ოლიმპიადის გამართვას დააკისრებდნენ, იმის გამო, რომ ქალაქში ყველაფერი — სპორტული ბაზები, საცხოვრისი, გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და მისთანები გასაახლებელი და გასათანამედროვებელი იყო, ძლევამოსილი დასავლური კომპანიები სახსრების საინვესტიციოდ უდიდეს შესაძლებლობებს მიიღებდნენ. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ისა კმარა, რომ პეკინში სათბობის ძირითადი სახეობა დღემდე ქვანახშირი ყოფილა, რის გამოც ჰაერი თურმე ერთობ ბინძურდება. ქალაქის ხელისუფლებს სოკ-ის საინსპექციო დელეგაციის გულის მოსაგებად, ერთი პირობა, კიდეც აუკრძალავთ ქვანახშირით მომუშავე ღუმელების ხმარება, რის შედეგადაც არაერთი ხანდაზმული პეკინელი ზამთრის სიცივეს მოუკლავს.

კომპანიათა შეთქმულების ამბავი დროზე იყნოსა მედიამ და სიდნეის გასახარად სოკ-ის წევრებს ბრალი დასდო, ბობოლა საქმოსნების ზეწოლის განიცდიან და ვინძლო მათ დაკრულ ჰანგზე არ იბუქნაონო. ამის პასუხად სოკ-ი იძულებული შეიქნა განეცხადებინა, რომ არჩევნების შედეგის მიუხედავად ყველა ღონეს იხმარდა, თამაშების მარკეტინგი წარმატებით რომ წარმართულიყო.

მსოფლიო სპორტის მამებს, ეტყობა, წინდაწინვე აერჩიათ გამარჯვებული და ამიტომ ბოლო პრეზენტაციებს აღარც დაგიდევდნენ. კენჭისყრის 90 მონაწილიდან ბარემ ოცს დააგვიანდა და ვერ დაესწრო ორ ბლიც-პრეზენტაციას — თურმე ნუ იტყვით, შესვენებაზე ყავის სმა გაუგრძელდა. ასე იყო თუ ისე, გაიმართა ოთხტურიანი კენჭისყრა, რომლის გადამწყვეტ ტურში სიდნეიმ პეკინს ორადორი ხმით 45:43 აჯობა.

ანგარიში მერე და მერე გამოცხადდა, თორემ თვად კენჭისყრას არათუ დახურული, გასაიდუმლოებულიც კი ეთქმოდა. მონაწილენი ბიულეტენებს ფარულად ავსებენ, დამთვლელი ხმათა განაწილებას გაარკვევს და ბიულეტენებს საიდუმლოდ ინახავს. ერთი სიტყვით, ყველაფერი და ყველას ბედი დამთვლელის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, თორემ არც ისაა გამორიცხული, დამთვლელმა რომ იცრუოს — მას ვერავინ ვერასოდეს შეამოწმებს.

კენჭისყრის ამგვარმა ზესაიდუმლო პროცედურამ გამარჯვებული სიდნეის უარყოფითი რეაქციაც კი გამოიწვია. არჩევნების შემდეგ ავსტრალიელები ისე გაკადნიერდნენ, რომ სოკ-ის გარდაქმნა-გადახალისების გეგმაც კი წამოაყენეს, აქაოდა ოლიმპიადის ბედს რატომ უნდა წყვეტდეს ერთი მუჭა ხალხი, რომლებსაც ერთმანეთი ძმაბიჭობით აურჩევიაო. არადა, ამ ერთ მუჭა ხალხში ორნი — სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი კევინ გოსპერი და ფილ კოულზი ავსტრალიელები არიან.

ყოველივე ეს არჩევნების შედეგის გამოქვეყნების შემდეგ ითქვა, თავად ამ პროცედურას კი, ცოტა არ იყოს, კურიოზიც შეემთხვა. მთელი მსოფლიოს მასმედიის ზულისყური მონტე-კარლოსაკენ იყო მიპყრობილი. ორნახევარწლიანი საკონკურსო კამპანიით გათანგული დელეგაციები სოკ-ის არჩევანს სასიკვდილო განაჩენივით ელოდნენ. ჰოდა, ამ ორგანოს მეშვიდე პრეზიდენტმა, ბატონმა სამარანჩმა საზოგადოება კიდევ უფრო აალელვა, როცა არჩევნების შედეგის გამოსაცხადებლად ხუთი წუთის დაგვიანებით გამობრძანდა, მერე კი ოლიმპიური ჰიმნი არა შემოკლებით, არამედ სრულად შესრულდა.

ამდენი ლოდინისგან ხალხს ნერვები დაეწყდა, სამარანჩმა კი შორიდან მოუარა, თუმცაკი ოდენ სამი წინადადება თქვა. ერთი, რომ სოკ-ი თურმე დიდად ემადლიერება კონკურსის მონაწილე ხუთივე ქალაქი — სამარანჩმა ისინი ლათინური ანბანის რიგით ჩამოთვალა — ბეიჯინს, ბერლინს, ისტანბულს, მანჩესტერსა და სიდნის — განაცხადების წარმოდგენისა და ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვისო. მეორე, ბატონმა პრეზიდენტმა შენიშნა, რომ სოკ-ი გულწრფელად წუხს იმის გამო, გამარჯვებული მხოლოდ ერთი რომ უნდა იყოსო. და მესამე, გაიმარჯვა სიდნეიმო!

მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო და პეკინში, ტიანანმენის ავადსახსენებელ მოედანზე 1989 წლის მსგავსად შეკრებილმა და პოლიციით გარშემორტყმულმა სტუდენტობამ სამარანჩის პირველი წინადადების ჩამონათვალში მათი ქალაქის უწინარესად ხსენება მიამიტობის გამო გამარჯვებად მიიჩნია, ყიჟინა დასცა და ფოიერვერკი გამართა. გაოცებას ვერ მალავდნენ BBC-ის მსოფლიო მაუწყებლობის ახალი ამბების წამყვანები, რომლებიც სოკ-ის განაჩენის გამოქვეყნების მომენტში ტიანანმენის მოედანზე მყოფ კორესპონდენტს დაპკავშირებოდნენ: მაგათ რა ახარებთ, ჩვენი მონაცემებით სიდნეიმ გაიმარჯვაო!

რა ხდებოდა ამ დროს საკუთრივ სიდნეიში, ძნელი სათქმელია, რადგანაც სამარანჩის გამოჩენისას იქ გამთენიის ექვსის ნახევარი იყო. რაც შეეხება მონტე-კარლოში მყოფ დელეგაციას, მან მყის შეიფერა გამარჯვება და ტრადიციისამებრ აღნიშნა, რომ გაიმარჯვა არა მარტო სიდნეიმ, არამედ მთელმა ავსტრალიელმა ერმა, რომელმაც საყოველთაო რეცესიის, ანუ წარმოების შეკვეცის პირობებშიც მარტო ოლიმპიადის დასაუფლებელი კამპანიისათვის უშურველად გაიღო 15 მილიონი დოლარი, 2000 წლისთვის კი მსოფლიოს საოლიმპიადოდ ტექნიკურ სასწაულს ჰპირდებაო.

სიდნეის გამარჯვებას მსოფლიოს მას-მედიამ სპორტის ტრიუმფი უწოდა. აღინიშნა, რომ ურიცხვი საცდურის მიუხედავად, სოკ-მა მაინც არ აირჩია პეკინი, რაკილა მისთვის ოლიმპიადის მასპინძლობის დაკისრება მაინც სარისკო იყო — შორს აღარაა დღე, როცა დენ სიაოპინი გადაბრუნდება და იმ ქვეყნად წავა, მერე კი რა ცოდვა-მადლი დატრიალდება ქვეყანაში, არავინ უწყის. გასათვალისწინებელი იყო აშშ-ელ პოლიტიკოსთა მიერ პეკინის ათვალწუნების ფაქტორიც. როგორც პრესამ შენიშნა, ემოციებსა და რისკზე მეტად სოკ-მა უკვე მერამდენედ გეოპოლიტიკური მოსაზრებებით იმოქმედაო.

რაც შეეხებათ ჩინელებს, ისინი რა მოტივით იმოქმედებენ, ძნელი განსაჭვრეტია, რაკილა ისევ დაირხა ჭორი, რომ მონტე-კარლოსეული გაწბილებისთვის სამაგიეროს გადასახდელად ჩინეთი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე გუნდს აღარ მიავლენს. როგორც ამბობენ, ამ გადაწყვეტილების მთავარი შემოქმედი დენ სიაოპინი ყოფილა.

მსოფლიოში სიდნეის იმდენად დიდი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი, რომ უკანასკნელ 12 წელიწადში მსოფლიოს ცხრა ჩემპიონატისთვის უმასპინძლია. ამ ქალაქში გამართულა ცურვის, აფროსნობის, რაგბის, კეტბურთის, კრივის, ცხენოსნობის, კრიკეტის, ნიჩბოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის მსოფლიო პირველობები.

2000 წლის ოლიმპიადის გამართვის უფლების მისაღებად სიდნეელებმა შექმნეს საგანაცხადო კომპანია Sydney Olympics 2000 Bid Ltd, რომლის სახსრებიც კერძო და საზოგადოებრივი სექტორებიდან შეგროვდა. კომპანიას თავკაცობდა ახალი სამხრეთი უელსის პრემიერი, პარლამენტის წევრი ნიკ გრეინერი, პატრონობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი პოლ კიტინგი, ხოლო საქმეებს მთავარი აღმასრულებელი როდერიკ მაკგუჩი უძღვებოდა. კომპანია ცხოვლად თანამშრომლობდა სოკ-ის წევრ ავსტრალიელ მოღვაწეებთან, რომელთა ვინაობაც ზემოთ გაგაცანით.

კომპანიამ სოკ-ის სამსჯავროზე კარგად მოფიქრებული განაცხადი წარადგინა. მისი მთავარი ღირსება კომპაქტურობა და ეკოლოგიური ღირსებებია. განაცხადს დევიზიც სიდნეის შესაფერი აქვს — Share the Spirit, ანუ „სულისკვეთება გავიზიაროთო".

განაცხადში გამოწვლილვითაა განხილული სიდნეის კლიმატი და დასაბუთებულია, თუ მაინცდამაინც გაზაფხულზე რატომ უნდა გაიმართოს 2000 წლის ოლიმპიადა. გაზაფხულის ხსენება ნუ გეუცხოებათ, რადგან ავსტრალიური გაზაფხული ჩვენებურ შემოდგომას ემთხვევა. სიდნეელთა მტკიცებით, 2000 წლის 16 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ანუ იმ ორი კვირისა და ორი დღის განმავლობაში, როცა ოლიმპიადა უნდა გაიმართოს, სიდნეიში ჰაერის ტემპერატურა დღისით 16-20 გრადუსი იქნება, ტენიანობა — 51-62 პროცენტი, მაქსიმალური მზიანობა 11 საათს გასტანს, დღეში ათ მილიმეტრზე მეტი ნალექის მოსვლის ალბათობა ოდენ 7 პროცენტი ყოფილა, ქარი კი დილით თურმე დასავლეთიდან დაუბერავს, შუადღისას — აღმოსავლეთიდან, და ორივე შემთხვევაში მისი სიჩქარე საათში 20 კილომეტრს, ანუ ჩვენებურად 5,5 მეტრს წამში არ აღემატება. ერთი სიტყვით, ქალაქში ისეთი ამინდი იქნება, კაცი იფიქრებს, სამოთხეში მოვხვედრილვარო.

მართალია, ორგანიზატორები დარს გვპირდებიან, [illegible] ტელემაგნატთა სიმსუნაგე მათ პრობლემას ალბათ მაინც შეუქმნის. საქმე ისაა, რომ ევროპასა და ამერიკაში ტელეტრანსლაციის შემსყიდველი ტელეკომპანიები უეჭველად მოისურვებენ, თავ-თავიანთ ტელეაუდიტორიას კიდევ ერთხელ წაეკეკლუცონ, აქაო და ჩანაწერს კი არ გიჩვენებთ, არამედ ცინცხალ გამოსახულებას — იმას, რაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ხდებაო. გადამცემებისა და მიმღების ამდენით დაშორების გამო მათებურ დროთა შორის სხვაობაც დიდი იქნება, რაც ალბათ იმით გაქარწყლდება, რომ ტელეტრანსლაციისათვის დიდძალი ფულის გამღები კომპანიები შეჯიბრებებს სპორტსმენთათვისა და მასპინძლებისათვის მოუხერხებელ დროს დაანიშნინებენ, რათა თავიან მაყურებელს კომფორტი შეუქმნან. ცოდვა გამხელილი სჯობს და სიდნეის ოლიმპიადის მასპინძლობას თუ არ არგუნებდნენ, ისევ და ისევ ამ მიზეზის გამო.

როგორც აღვნიშნეთ, სინდეის განაცხადი ერთობ კომპაქტურია. ყველა შეჯიბრება, მათ შორის აფროსანთა რეგატაცა და ფეხბურთელთა შესარჩევი თამაშებიც, ქალაქის ფარგლებში გაიმართება: ასპარეზები ორ ზონად ჯგუფდება. ერთი ზონა იქმნება ჰოუმბუშის ყურეში, ქალაქის შუაგულში, მეორე კი სიდნეის ისტორიულ, სანაპირო ნაწილში, ეგრეთ წოდებულ სიტისა და დარლინგის ნავსაყუდელში.

ამ ორ ძირითად ზონაში 25-დან 21 სპორტის სახეობა დაფუძნდება. ჰოუმბუშის ყურეში გაიმართება მშვილდოსნობა, მძლეოსნობა, ბადმინტონი, კრივი, ველოსპორტი, წყალში ხტომა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ხუთჭიდი, სოფტბოლი, ცურვა, სინქრონული ცურვა, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა და წყალბურთი, დარლინგის ნავსაყუდელში კი — კალათბურთი, კრივი, პინგ-პონგი და ძალოსნობა. კეტბურთის წინასწარი თამაშები ობერნში მოეწყობა, აფროსნობა — სიდნეის ნავსაყუდელში, კეტბურთი და ფეხბურთის შესარჩევი თამაშები — მურის პარკში, ცხენოსნობა — ისტერნ-კრიკში, ტყვიის სროლა — პოლსვორსში, ორივენაირი ნიჩბოსნორბა — პენრითის ტბებზე, ფეხბურთისა და წყალბურთის შესარჩევი თამაშები კი — პარამატაში. ყველა ეს ასპარეზი და მათ შორის მანძილი, სამგზავრო დროით რომაა გაზომილი, სქემაზე შეგიძლიათ იხილოთ.

ოლიმპიური სოფლის აშენება ჰოუმბუშის ყურეშია ნავარაუდევი. მისი ტევადობა 15 ათასი სული იქნება და თამაშის შემდეგ საცხოვრებელ უბნად იქცევა. რაც შეეხება მედიის სოფელსა და მედიის ცენტრს, ისინი დარლინგის ნავსაყუდელში აშენდება. მედიის სოფელი 6 ათასი შემოქმედის მისაღებადაა გათვლილი.

ტრანსპორტის პრობლემაც რიგიანად და ორიგინალურად წყდება. მისი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად უკვე გამოიყო 3,6 მილიარდი ავსტრალიური დოლარი. ნაირგვარია გამოსაყენებელი ტრანსპორტის სახეც: თვითმფრინავის, ზესწრაფი რკინიგზისა და ავტობუს-ავტომობილთა გარდა გათვალისწინებულია ბორნისა და შვეულმფრენთა დასაქმებაც. სულ კი რამდენიმე ახალი შარა, გვირაბი, რკინიგზის ხაზი გაჰყავთ და ხიდსა და აეროდრომსაც აშენებენ.

დიდი აღმშენებლობა დაიწყება ჰოუმბუშის ყურეშიც. იქ უნდა აიგოს 80-ათასიანი ოლიმპიური სტადიონი, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ ბურთაობის ერთი რომელიმე სახეობის ბაზად გადაკეთდება. აშენდება 20-ათასიანი დარბაზი და სალაღობო ცენტრი და ველოდრომი, გაახლდება ბალახის ჰოკეისა და სოფტბოლის ცენტრები, შეიქმნება მძლეოსნობისა და წყალჯომარდობის ცენტრებიც.

ჯანდაცვის საქმესაც მიექცევა სათანადო ყურადღება. კონკორდისა და უესტმიდის ჰოსპიტალები ოლიმპიადას მიემაგრება, ასპარეზებთან კი ამბულატორიები შეიქმნება. ადამიანების დოპინგ-კონტროლს განახორციელებს პიმბლის სამთავრობო ლაბორატორია, რომელიც მთელს სამხრეთ ნახევარსფეროში ერთადერთია, სოკ-ის მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს. რაც შეეხება ცხენების დოპინგ-სინჯის აღებას, ამ საქმეს კისრულობს ავსტრალიის ჟოკეითა კლუბის ლაბორატორია, რომელიც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციას 1986 წელს უცვნია.

ცხენოსნობა ვახსენეთ. გამოცდილ მკითხველს უეჭველად გაუჩნდება შეკითხვა, თუ 1956 წელს მელბურნმა ავსტრალიური საკარანტინო კანონების გამო ცხენოსანთა შეჯიბრების ჩატარება სტოკჰოლმს გადააბარა, ნეტავ სიდნეი რას იზამსო? რასა და როგორც ირკვევა, ეს კანონები არც ისე მკაცრი ყოფილა, თადარიგის დროულად დაჭერის შემთხვევაში მონაწილეები რომ შეაფერხოს, რასაც ისიც მოწმობს, რომ ავსტრალიაში ბოლო ხანს უპრობლემოდ გამართულა „გოულერისა" და „BMW"-ის საერთაშორისო ტურნირები.

დასასრულ, ორგანიზატორები ოლიმპიადისათვის დიდ კულტურულ პროგრამასაც გეგმავენ. გაიმართება ფესტივალი, რომელსაც Harbour of Dreams ანუ „ოცნებათა ნავსაყუდელი" ერქმევა. მასში საგანგებოდ წარმოაჩენენ ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის თვითმყოფად კულტურას — იმ ხალხის იმ კულტურას, აგრერიგად რომ შეავიწროვა დღევანდელი სიდნეის ადგილზე 1788 წელს ჩასახლებული ბრიტანული თემის ნაბარტყმა.

ზაალ ბიბინეიშვილი

**სიდნეის ოლიმპიური განაცხადის მოწოდებისათვის „სარბიელი" დიდად ემადლიერება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას და პირადად მის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს.**

### სიდნეი

ავსტრალიის უდიდესი და უძველესი ქალაქია. 1986 წლის აღწერის თანახმად მის მცხოვრებთა რიცხვი 3 431 ათასი იყო.

სიდნეი ბრიტანელთა პირველი ავსტრალიური ახალშენია. 205 წლის წინ, 1788 წლის 26 იანვარს (ამჟამინდელ ეროვნულ დღესასწაულს — „ავსტრალიის დღეს") დღევანდელი სიდნეის ყურის ნაპირს მიადგა თერთმეტი ხომალდი, რომლებმაც ახალ მიწაზე კატორღელები, მათი ჩაფრები და მეწვრილმანე ხელოსნები გადასხეს.

სიდნეი ულტრაკოსმოპოლიტური ქალაქია. სოციალისტური ინტერნაციონალიზმით განთქმული თბილისისა არ იყოს, სიდნეიშიც 140 ერისა თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი შეხმატკბილებულად ცხოვრობს და მოღვაწეობს. ქვეყნის მთავრობაც, რომელიც ენერგიულ იმიგრაციულ პოლიტიკას ატარებს, ზრუნავს როგორც ახალჩასულთა ასიმილაციისათვის, ისე ორენოვნების ხელშესაწყობად.

სიდნეი ავსტრალიის უპირველესი კულტურული ცენტრია, რასაც თანამედროვე არქიტექტურის შედევრის — ოპერის თეატრის ქონაც მოწმობს.

სიდნეი ავსტრალიისა და ვინძლო მთელი სამხრეთი ნახევარსფეროს უპირველესი სპორტული ქალაქიცაა. ძნელი მოსაფიქრებელია სპორტის, მეტადრე კი ბურთაობის სახეობა, რომელსაც სიდნეელები არ ეტანებოდნენ და ძლიერი გუნდი არა ჰყავდეთ.





ჩამოქვეითებული სევერიანო ბალესტეროსი

## გოლფი

# „არ წაგვიგია, ამერიკამ მოგვიგოო!“

წინა კვირის ბოლო სამი დღე სპორტული სამყაროს ყურადღება უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო შიდა ინგლისის დაბა ბელფრისკენ, რომლის გოლფ-კლუბის ბრაბაზონის გზაზეც 30-ედ გაიმართა ევროპისა და აშშ-ის ნაკრებთა სამატჩო შეხვედრა „რაიდერის თასისთვის“.

თავად თასი, რომელიც ერთობ იაფი რამაა, თავისს დროზე მარცვლეულით მოვაჭრე სემ რაიდერმა აშშ-ისა და ბრიტანეთ-ირლანდიის მატჩის გამარჯვებულისათვის დააწესა. გამოხდა ხანი და გოლფის კარგად თამაში ევროპის კონტინენტზეც ისწავლეს, რის გამოც ამჟამად თასს აშშ და ევროპა ეცილებიან ერთურთს წელიწადგამოშვებით, მონაცვლეობით ატლანტის ოკეანის გაღმა-გამოღმა.

ბოლო ათწლეული ევროპა სჯობნიდა ამერიკას. 1989 წელს ევროპამ თასი შინ შეინარჩუნა, რაკიღა მატჩი ფრედ დასრულდა, ორი წლის წინ კი, ოკეანის გაღმა, კიუაა აილენდში აშშ-მა თასი ბოლო შეხვედრის ბოლო ორმოს აღებით მოიპოვა.

ახლაც დაძაბულ შეჯიბრს ელოდნენ, მით უფრო, რომ გუნდის კაპიტნებმა, რომლებიც ჩოგბურთელთა დევისის თასისა არ იყოს, სინამდვილეში მწვრთნელები არიან და თამაშში, თუ არ რჩევით, სხვაგვარად არც მონაწილეობენ, ამერიკული და ევროპული ტურების შედეგთა გათვალისწინებით საუკეთესო გუნდები შეკრიბეს.

„რაიდერის თასის“ ფორმატი ბოლო 14 წელი უცვლელია. მატჩი სამ დღეს გრძელდება. პარასკევი და შაბათი წყვილთა შეხვედრებს ეთმობა. მეტოქეებს ოთხ-ოთხი წყვილი გამოჰყავთ.

წყვილები ორ განსხვავებულ ყაიდაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. დილით იმართება ე.წ. Foursomes, რომლის არსიც ისაა, რომ თითო წყვილი თითო ბურთით თამაშობს და გზის გავლისას მეწყვილეები ბურთს რიგ-რიგობით ურტყამენ. ნასადილევს წყვილები Fourballs-ში ეჯიბრებიან ერთურთს. ასეთ თამაშში ოთხივე მონაწილეს თავ-თავისი ბურთი აქვს და გზას დამოუკიდებლად ადგას, ანგარიშში კი თითოეულ ორმოზე მეწყვილეთა შორის საუკეთესო შედეგი ითვლება. წყვილთა შემადგენლობა შეუზღუდავია. ერთ ყაიდაზე თამაშის მერე რაგინდარა ხერხით შეიძლება მოთამაშეთა გადაწყვილება. ერთი ეგაა, რომ ერთ თამაშში მეგოლფე ერთდროულად რამდენიმე წყვილის შემადგენლობაში ვერ გამოვა, რაკიღა წყვილები თანდათან შეუდგებიან გზას: ერთნი, ვთქვათ და მეცხრე ორმოს რომ უტევენ, მომდევნოები შეიძლება მეხუთე ორმოს ახალებად თამაშობდნენ.

მატჩის ბოლო დღეს იმართება ერთეულთა (Singles) 12 შეხვედრა, ე.ი. მეტოქეები წყვილდებიან და ამგვარად გუნდი გუნდს ეჯიბრება. ერთი სიტყვით, პარასკევს და შაბათს რვა-რვა თამაში იმართება და შესაბამისად სულ 16 ქულა რიგდება, კვირას კი 12 ქულაც ნაწილდება. აქედან გამოდის, რომ რაკიღა მატჩში სულ 28 ქულა თამაშდება, ამერიკას თასის შესანარჩუნებლად 14 ქულის მოგროვებაც ყოფნიდა, ევროპას კი თასის დასაუფლებლად მინიმუმ 14,5 ქულა უნდა მოეხვეჭა.

მატჩის პირველი ორი დღე მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. მართალია, გახსნაზე თვით იორკის დაჩესიც, ანუ სამეფო ოჯახის უმცროსი დიასახლისი მობრძანდა, მაგრამ ძლიერი ნისლის გამო პირველი თამაშის დაწყება ორნახევარი საათით დაგვიანდა, რის გამოც მოთამაშეებს გზაზე შემოაღამდათ და ბოლო ოთხბურთა შეხვედრის დამთავრება შაბათს დილისთვის გადაიდო. მანამდე ორბურთა თამაშები ფრედ 2:2 დასრულდა, ოთხბურთაში კი ევროპა დაწინაურდა. ევროპელთაგან მშვენივრად ითამაშა უელსელმა იენ ვუზნემმა, რომელიც ორ მოგებულ თამაშში მონაწილეობდა. ესპანელთა წყვილმა ბალესტეროსისა და ოლოსაბალის შემადგენლობით ორბურთა კი წააგო კაიტ – ლავის დუეტთან, მაგრამ ოთხბურთაში იგივე მეტოქეები დამაჯერებლად დაამარცხა. რაც შეეხება გადადებულ თამაშს, მასში ფალდო და მონტგომერი ბოლო, XVIII ორმოსთან თამაშობდნენ ეიზინგერ – კაპლზის წინააღმდეგ. საერთოდ, ეს ორმო იმითაა ცნობილი, რომ 1989 წლის მატჩში ოთხ ამერიკელს მისი იერიშისას ბურთი ტბორში ჩაუვარდა. ასე არ დამართნია ინგლისელ ფალდოს, რომელმაც შაბათ დილით გააყაიმა ანგარიში, რისი წყალობითაც პირველი დღის პროგრამა ევროპამ 4,5:3,5 მოიგო.

შაბათს დილიდან სიო უბერავდა. ევროპელებმა 3:1 მოიგეს ორბურთა თამაშები და 7,5:4,5 დაწინაურდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ამერიკა თასს უნდა შეჰლეოდა, ვინაიდან ამჟამინდელი ფორმატის შემოღების შემდეგ ჯერაც ვერავის მოეხერხებინა სამქულიანი ჩამორჩენის ანაზღაურება.

ნასადილევს ევროპის კაპიტანმა გალაჰერმა ბალესტეროსი შვედი ახალბედათი, ჰაგმანით შეცვალა. ამით მან დაშალა ესპანური დუეტი, რომელსაც 1987 წლიდან გამართულ 15 თამაშში 11 მოეგო, 2 ფრედ დაემთავრებინა და 2 წაეგო. ვუზნემმა და თასის ახალბედამ – ბეიკერმა კვლავ მოიგეს, მაგრამ დანარჩენ ოთხბურთებში სტუმრებმა იმარჯვეს და პირველი დღის შემდგომი სტატუს-ქვო – ერთქულიანი დეფიციტი (7,5:8,5) აღადგინეს.

კვირას, ერთეულთა თამაშებში ევროპას იღბალმა ზურგი შეაქცია. ერთი პირობა მასპინძლები 6 თამაშს იგებდნენ, მერე 7 ყაიმით მთავრდებოდა, ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ამერიკამ ეს დღე 3 ქულით მოიგო და ჯამში 15:13 გაიმარჯვა. არადა, სტუმრები წინ პირველად ერთეულთა მეათე თამაშის შემდეგლა გავიდნენ, რომელშიც კაიტმა კისერმორჩენილ ლანგერს აჯობა – 13,5:12,5. („შედეგთა დაფაზე“ გუნდების შემადგენლობა ისეა ჩამოთვლილი, რომ ცხადი იყვეს, თუ კვირას ვინ ვის ეთამაშა).

ბოლოსწინა თამაშში 51 წლის რეიმონ ფლოიდმა, რომელიც „რაიდერის თასზე“ მერვედ ასპარეზობდა, XVI ორმოს აღებით ოლოსაბალის წინააღმდეგ ყაიმი გაინაღდა, რითაც ამერიკას სანუკვარი 14 ქულა მოუგროვა, ბოლო, XVIII ორმოზე კი თავისიანებს გაამარჯვებინა, რის გამოც ფალდო—ეიზინგერის ბოლო დუელს აზრი დაეკარგა: იგი ყაიმით დასრულდა, აშშ-მა 15:13 მოიგო, მის კაპიტან ტომ უოტსონს თასი გადაეცა, გალაჰერმა კი თქვა, „ჩვენ არ წაგვიგია, ამერიკამ მოგვიგოო“.

რაც შეეხება შემდეგ, 31-ე მატჩს, იგი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში, ოუკ-ჰილზის გოლფ-კლუბში ორი წლის შემდეგ გაიმართება.

ვალერი ჯიქია

## აქეთური, იქითური

ავსტრალიელმა „ვოლაბიზმა“ [illegible] რომლებიც კანადასა და საფრანგეთის [illegible] ტურნეოდ მიემგზავრებიან, მცველ კელეჰერის ნაცვლად, ვისაც ნაოპერაციევი მუცელი გაუმიზეზდა, გუნდში ჩარიცხეს ქვინზლენდელი უნივერსალი მცველი რაიან კონსტებლი. ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ დასახვედრად 46-კაციანი სია გამოაქვეყნა ინგლისმა. მასში არ წერიან ცნობილი მორაგბეები: 37 წლის ბურჯი ჯეფ პრობინი, აგრეთვე 9 ნომერი რიჩარდ ჰილი და ფრთის მორკინალი მაიკ თიიგი. „ოლ ბლექსი“ ინგლისის გარდა შოტლანდიასაც ეწვევა და ორივეგან თითო ტესტს გამართავს.

*

გამოცხადდა, რომ ინდოეთის კრიკეტის ასოციაციის საბრილიანტო იუბილეს (ანუ 60 წლისთავის) აღსანიშნავად 7 ნოემბრიდან მოეწყობა ერთდღიანი კრიკეტის ტურნირი, რომელშიც ტესტის მოთამაშე ცხრა ქვეყნიდან ექვსი — პაკისტანი, სამხრეთი აფრიკა, შრი-ლანკა, ვესტ-ინდოეთი, ზიმბაბვე და თავად ინდოეთი იასპარეზებენ. შეჯიბრება კანპურში ინდოეთ — შრი-ლანკის თამაშით გაიხსნება, ფინალის გამართვა კი კალკუტაშია დაგეგმილი.

*

შაბათს გამოცხადდა, რომ აფრიკის მორიგ თამაშებს 1995 წელს ზიმბაბვეს დედაქალაქი ჰარარე უმასპინძლებს. შეჯიბრება, რომელიც 13 სექტემბერს დაიწყება და ათ დღეს გასტანს, სპორტის 16 სახეობაში გაიმართება.

*

შაბათს ფორმულა 1-ის წლევანდელი გათამაშების ლიდერმა, ფრანგმა ალენ პროსტმა გამოაცხადა, რომ წლის ბოლოს თავს ანებებს „უილიამსსაც“ და ავტორბოლასაც. ფრანგ „პროფესორს“, რომელსაც ყველაზე მეტი „გრან პრი“ აქვს მოგებული, გუნდში სავარაუდოდ შეცვლის დაუძინებელი მეტოქე, ბრაზილიელი აირტონ სენა, ვინაც წელს „მაკლარენით“ ასპარეზობს. სენას ჭირვეულობა სჩვევია თანაგუნდელის შერჩევისას, რაც იმას მოასწავებს, რომ „უილიამსის“ მეორე პილოტს, ბრიტანელ დეიმონ ჰილს საგაისოდ შეიძლება ახალი გუნდის გამოძებნა დასჭირდეს.

*

ციროზით 41 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მორაგბე ავთო გიორგაძე. ჩოხატაურელი ყმაწვილი რაგბში ლელობურთიდან მივიდა. თამაში თბილისის „სპარტაკში“ დაიწყო. 1972-79 და 1982-83 წლებში თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში“, 1980-81 და 1987 წლებში — ქუთაისის გუნდში. ერთი პირობა სსრკ-ის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ირიცხებოდა. თამაშობდა მცველად და კარში კარგ დამრტყმელადაც ითვლებოდა. ბოლო წლებში მშობლიური ჩოხატაურის „ჯანის“ ალორძინებას ხელმძღვანელობდა. მისი მწვრთნელობით გუნდმა საქართველოს წინა ჩემპიონატზე III ადგილი დაიჭირა.

*

2000 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად სიდნეის არჩევის შემდეგ 2004 წლის თამაშების მასპინძლობის მსურველების შესახებ ალაპარაკდა მსოფლიოს მედია. როგორც ვარაუდობენ, XXVIII ოლიმპიადის დასასაკუთრებლად განაცხადს ხუთშაბათს ხელმოცარული ქალაქების გარდა რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია), სტოკჰოლმი (შვედეთი), სანკტ-პეტერბურგი (რუსეთი) და დურბანი (სამხრეთი აფრიკა) წარადგენენ. რაც შეეხება 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადას, მის შესაძლო მასპინძლად სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ), კვებეკს (კანადა) და ესტერსუნდს (შვედეთი) რაცხენ.

*

რუსეთში პარალელურად მოქმედებს ერთაშორისი ლიგაცა და რუსეთის ჰოკეის ფედერაციაც. პირველს მრავალგზის ხელმოცარული მწვრთნელი რობერტ ჩერენკოვი თავკაცობს, მეორეს კი წარსულში ცნობილი ჰოკეისტი, ხარლამოვისა და მიხაილოვის პარტნიორი ვლადიმერ პეტროვი. პეტროვი ერთი კვირის წინ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (იიჰფ) ყრილობაზე გამგზავრებულა ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად: თურმე ნუ იტყვით, იიჰფ რუსეთის შინაურ საქმეებში ერევა. ფედერაცია ერთაშორის ლიგასთანაც აპირებს საქმის გარჩევას.

აქეთური, იქითური

# «ვითბრედი» ხეიბართათვის

ზუსტად ოთხი წლის წინ, ქართული, უფრო სწორად კი საბჭოთა-ამერიკული ნავი, სახელად „ფაზისი-პეპსი“, „ვითბრედის“ გარსაქვეყნო საიალქნო რბოლაში ჩაება.

ამ შაბათს, 25 სექტემბერს, მორიგი „ვითბრედი“, უკვე უჩვენებოდ, დაიწყო იმავე ადგილას — ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ საუთჰემპტონში. ღრუბლიანი ამინდის მიუხედავად მაინც დიდძალი ხალხი შეიკრიბა, 14 იახტა რომ გაეცილებინა ლაშქრობაში, რომელიც სავარაუდოდ გაისად ივნისში საუთჰემპტონშივე დასრულდება.

მორიგი „ვითბრედი“ ორ კლასში ტარდება: ე.წ. მაქსი-იახტები 80-ფუტიანია (ანუ 24 მეტრიანია), ხოლო „ვითბრედ-60“ კლასის ნავები, როგორც სახელიდანაც ჩანს — 60-ფუტიანი (ანუ 18-მეტრიანი).

როგორც ვარაუდობენ, „მაქსის“ კლასში გამარჯვების უპირველესი შანსი ახალი ზელანდიის „ენდევორს“ აქვს. მას გარსაქვეყნო რბოლის ვეტერანი გრანტ დოლფინი კაპიტნობს.

„ვითბრედ-60“ კლასში „ამერიკის თასის“ გამარჯვებული დენის კონორიც ასპარეზობს საგანგებოდ „ვითბრედისათვის“ აგებული „ვინსტონით“. კონორმა ამ ახალი ნავით მოიგო „ვითბრედისწინა“ ტრანსატლანტური რბოლა ნიუ-იორკიდან საუთჰემპტონამდე. ნავმა 3000 მილი გაცურა, გარსაქვეყნო რბოლის დისტანცია კი 32 ათასი საზღვაო მილია. (მილი დაახლოებით ჩვენებური კილომეტრნახევარია)

ატლანტის ოკეანის გადასერვისას კონორს ტოლი არ დაუდო „დოლფინ ენდ იუსის“ ეკიპაჟმა, რომელმაც საბოლოოდ მეორე ადგილი დაიჭირა. ეს მონაწილე იმითაა აღსანიშნავი, რომ ხეიბარ და ჭაბუკ აფროსანთა ნაკრებს წარმოადგენს.

„დოლფინ ენდ იუსის“ შემდგენელ ბრენდან ფოლის ოთხი წელი უოცნებია „ვითბრედში“ ჩაბმაზე. იგი თავადაც ინვალიდი ყოფილა: ბავშვობაში პოლიომიელიტი გადაუტანია, 14 წლისას კი ექიმები მარად საპყრად რაცხდნენ.

ექიმები, საბედნიეროდ, მოტყუვდნენ. ფოლიმ არათუ სიარული შეძლო, არამედ ატლანტიკაც გადასერა, ჰიმალაებშიც იყო და ანტრაქტიკაშიც. წინა „ვითბრედის“ შემდეგ კი მიდგამოდგა, შეაწუხა ხალხი, ანუ სპონსორები, და საბოლოოდ რამდენიმე დაიყოლია კიდეც, მაგრამ ბრიტანეთის სამეფო იახტ-კლუბმა ქოში უკუყარა, ხეიბრებს გარსაქვეყნო რბოლასთან რა ესაქმებათო.

ფოლის უკან არ დაუხევია. მოწინააღმდეგეთა ჩასაჩუმებლად ჭაბუკ აფროსნებს შეუამხანაგდა, ეკიპაჟის კაპიტნად კი დანიშნა მეთიუ ჰამფრისი, რომელიც წინა „ვითბრედში“ უმრწემესი მონაწილე იყო, ახლა კი უმრწემესი კაპიტანია. ჰამფრისი 22 წლისაა, ფოლის გუნდის საშუალო ასაკი კი 23 წელი ყოფილა.

„დოლფინ ენდ იუსის“ წევრები, ვიდრე ატლანტიკაში შეცურავდნენ, გიმნაზიუმებში (გამაჯანსაღებელ დარბაზებში) ხუთ თვეს ვარჯიშობდნენ. გუნდში არაერთი გამორჩეული წევრია. ასე მაგალითად, ნავის ამგები, მასაჩუსეტსელი სპაიკ რამსდენი სანახევროდ ბრმაა, მაგრამ ატლანტიკა უკვე სამჯერ გადაუსერავს. მისი აზრით, შუაგულ ოკეანეში მოწყენის ან უქმობის დრო ვერ ექნება. ან კეიპტაუნელი მეიალქნე კოლინ რიჩარდსონი ავიღოთ. მას თურმე ნავზე ზღვის წყლის გამამტკნარებელი აპარატი აბარია. მართალია, ეს დანადგარი დღეში 50 ლიტრ სასმელ წყალს აწარმოებს, მაგრამ პროდუქტს მაინც უსიამო სუნი დაკრავსო.

დასასრულ შევნიშნოთ, რომ „ვითბრედი“ ერთობ რთული გამოცდაა არათუ ხეიბარი, არამედ სალსალამათი კაცებისთვისაც. წინა რბოლამ სამი ზღვაოსნის სიცოცხლე შეიწირა. ერთი მათგანი, საბჭოელი, ხეზე ჩამოხრჩობილი იპოვეს ურუგვაის კურორტ პუნტა-დელ-ესტეში, რომელსაც სტარტს 6 000 მილი აშორებს და დაწინაურებული ნავები შუა ოქტომბერში თუ მიაღწევენ.

# დაბერებულა კერვინი



1989 წელი. კერვინის ზეობის დასასრულის დასაწყისი

კვირას კიდევ ერთი დიდი მობურთალის მზე ჩაესვენა.

საქმე ისაა, რომ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა გამოაქვეყნა იმ 30 მოთამაშის სია, ვინც „ოლ ბლექსის“ ინგლისურ-შოტლანდიურ ტურნეზე გაემგზავრება ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

სიაში არაა დიდი დამრტყმელი გრანტ ფოქსი, რომელმაც სამსახურებრივი მოუცლელობა მოიმიზეზა. რაც შეეხება მეორე დიდ ახალზელანდიელს, 29 წლის გარემარბ ჯონ კერვინს, მას ბრიტანეთში გასამგზავრებლად კი სცალია, მაგრამ ნაკრების შემდგენლებს მწვრთნელ ლორი მეინსის „თამადობით“ ექსვარსკვლავი ტურნეზე არ მიჰყავთ, აქაოდა ბებერი ხარ და 1995 წლის მსოფლიო თასისთვის აღარ გვჭირდებიო.

ახლა არ იკითხავთ, ვინ ანაცვალეს კერვინს, ვისაც 1984 წლიდან „ოლ ბლექსის“ 58 კეპი მოუგროვებია, ტესტებში 30-ზე მეტი ლელო გაუტანია, 1987 წლის პირველი მსოფლიო თასის პირველსავე თამაშში იტალიის მთელი ნაკრები გაუპამპულავებია, არაერთი მეტოქე, თვით ავსტრალიელი კემპიზი და ინგლისელი ანდერვუდი დაუზაფრავს და სულ ახლახანს, როგორც ვწერდით, საშინაო რეკორდიც დაუმყარებია, ჩრდილოეთ ოტაგოს ერთბაშად 9 ლელო რომ გაუტანა?

ვინა და 19 წლის ჯეფ ვილსონი, რომელსაც დღემდე თავი იმით თუ გამოუჩენია, რომ ახალი ზელანდიის ღირსება საერთაშორისო სარბიელზე... კრიკეტში დაუცავს.

ასეა თუ ისე, კერვინი ნაკრებიდან უკვე მერამდენედ და ეგებ საბოლოოდაც დაითხოვეს. ეტყობა, მან ბოლომდე მაინც ვერ მოიშუშა აქილევსის მყესი, 1989 წლის შემოდგომაზე, ირლანდია – უელსის ტურნეზე, უელსის კლუბ „პონტიპულის“ წინააღმდეგ თამაშისას რომ გაიწყვიტა. ანაც ვარსკვლავი ისე დააცხრო ყოველ ზამთარ-გაზაფხულს იტალიაში თამაშმა, რომ „ოლ ბლექსისთვის“ უვარგისი გახდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
ნომრის რედაქტორი ზაალ გიგინეიშვილი